




დანართი 6ბ

გარემოსდაცვითი და სოციალური
ზემოქმედების შეფასება და გარემოსდაცვითი
და სოციალური მართვის გეგმა

ნაწილი 2 – გარემოსდაცვითი და სოციალური
მართვის გეგმა (ESMP)

“საქართველოში სატყეო რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა
ტყის დეგრადაციით გამოწვეული სათბური აირების შემცირებისთვის“



მომზადებულია GIZ-ისთვის
კლიმატის მწვანე ფონდში (GCF) წარსადგენად



“საქართველოში სატყეო რეფორმის
განხორციელების ხელშეწყობა ტყის
დეგრადაციით გამოწვეული სათბური
აირების შემცირებისთვის“

ტომი 2 – გარემოსდაცვითი და სოციალური
მართვის გეგმა (ESMP)

კეთრინ გარსია


გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხთა დამოუკიდებელი ექსპერტი

ნანა ბერძენიშვილთან

(სოციოლოგიის დამოუკიდებელ სპეციალისტი) თანამშრომლობით

განახლება:

განახლდა 2021 წლის მაისში UNIQUE forestry and land use GmbH-ის მიერ, კომპონენტ 3-ის დეტალური დაგეგმვის და შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებების ასასახად.

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა	ნაწილი 2: ESMP	
---	----------------	---

სარჩევი

1.	შესავალი	3
1.1	მიმოხილვა	3
1.2	ანგარიშის სტრუქტურა.....	3
1.3	მიზნები	4
2.	ზემოქმედებებისა და ვალდებულებების პრეზენტაცია.....	4
3.	მართვის ზოგადი სტრუქტურა და პასუხისმგებლობები.....	48
4.	შესაძლებლობათა ზრდა	51
5.	სპეციფიკური მართვის გეგმები	53
5.1	ESHS მართვის სისტემა	53
5.2	საკონტრაქტო მოთხოვნების პროცედურა მშენებლობისთვის	58
5.3	სოციალური მხარდაჭერის გეგმა.....	64
5.4	სწრაფი გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი	72
5.5	კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის ე.წ. „მანსის პოვნის“ პროცედურა	78
5.6	ტყის მდგრადი მართვის გეგმების ჩართულობითი მეთოდით შემუშავება.....	79
5.7	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა და დავების მართვის პროცედურა	82
6.	ბიუჯეტი	82
7.	გამოყენებული ლიტერატურა:	83


<p>გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა</p>	<p>ნაწილი 2: ESMP</p>	
--	-----------------------	---

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 2-1: ზემოქმედებებისა და ვალდებულებების შეჯამება 6

ცხრილი 5-1: რეკომენდირებული ბუფერები (ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი 1998)
..... 62

ცხრილი 6-1: ESMP-ის ბიუჯეტი* 82

<p>გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა</p>	<p>ნაწილი 2: ESMP</p>	
--	-----------------------	---

1. შესავალი

1.1 მიმოხილვა

პროექტი მიზნად ისახავს ტყეების დეგრადაციით გამოწვეული ემისიების შემცირებას ტყეების მდგრადი მართვის გზით, აგრეთვე ენერგო-ეფექტური და ალტერნატიული საწვავის პოპულარიზაციას, საშუაშე მერქნის მოხმარების შესამცირებლად, რაც ტყეების დეგრადაციის მთავარი გამომწვევი მიზეზია. პროექტის შედეგად, შემცირდება სათბური აირების (GHG) ემისიები, რაც 7 წლის განმავლობაში დაახლოებით 5,2 მილიონი ტCO₂ ეკვივალენტია. გარდა ამისა, პროექტი გაამყარებს ინსტიტუციონალურ და მარეგულირებელ სისტემებს, დაბალი ემისიის დაგეგმვისა და განვითარებისათვის, ეროვნულ და რეგიონულ დონეზე, ამასთანავე, გაუმჯობესდება კანონის აღსრულებაც.

ყველა პროექტისთვის, რომელიც მიეკუთვნება „ბ“ კატეგორიას, კლიმატის მწვანე ფონდისა (GCF) და GIZ-ს მოითხოვნაა გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების მომზადება. ESS (გარემოსდაცვითი და სოციალური დაცვის) კონსულტანტმა გააანალიზა შეგროვებული პირველადი და მეორადი ინფორმაცია და შეადგინა ეს ანგარიში ტომი 2 - გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ESMP). ამ გეგმის მიზანია პირველადი და მეორადი მონაცემების შეგროვება და 2019 წლის მარტი-მაისის და 2020 წლის ნოემბრიდან 2021 წლის აპრილამდე (ეს უკანასკნელი მხოლოდ კომპონენტი 3-ისთვის) პერიოდებში შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი, აგრეთვე, გეგმის დანიშნულებაა, იყოს ერთგვარი სახელმძღვანელო შემარბილებელი ზომების განხორციელებისთვის, რომელიც დადგინდა დაინტერესებულ მხარეთა ერთობლივი მუშაობისას.

1.2 ანგარიშის სტრუქტურა

ეს ანგარიში წარმოადგენს გარემოსდაცვით და სოციალური მართვის გეგმას პროექტისთვის. ამ ანგარიშის მეორე ნაწილი გვამღევეს შემარბილებელი და საკომპენსაციო ზომების სრულ მიმოხილვას, რომელიც შემუშავდა იმ გარემოსდაცვითი და სოციალური მავნე ზემოქმედებების შესამცირებლად, რომელიც შესაძლოა პროექტის განხორციელებამ გამოიწვიოს. ისინი ეფუძნება დადგენილ შემარბილებელ ზომებს, რომლებიც მოიცავს წარმატებული საერთაშორისო ინდუსტრიული პრაქტიკების და გამაძლიერებელი ზომების გამოყენებას. ეს ზომები წარმოადგენს პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ ვალდებულებებს. ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის ფორმით, რათა გაადვილდეს პროექტის ვალდებულებების აღქმა. მესამე ნაწილი წარმოადგენს განხორციელების სტრუქტურას, რომელიც საჭიროა ESMP-ის აღსრულებისთვის, მეოთხე ნაწილი უზრუნველყოფს შესაძლებლობათა განვითარების ნაწილს ESMP-ში. მეხუთე ნაწილში მოცემულია სპეციფიკური მართვის გეგმები, რომელიც თანხვედრაშია ცხრილი 2-1-ში შემოთავაზებულ ვალდებულებებთან, მეექვსე ნაწილი კი წარმოადგენს ESMP-ის ბიუჯეტს.

ESMP განხორციელდება GIZ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შესაბამისი სამინისტროების, კონტრაქტორებისა და ქვე-კონტრაქტორების მიერ პროექტის

<p>გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა</p>	<p>ნაწილი 2: ESMP</p>	
--	-----------------------	---

მშენებლობებისა და პროექტის მოქმედების განმავლობაში. GIZ დანიშნავს ESMP+G სპეციალისტს, რომელიც იქნება პასუხისმგებელი ESMP-ის განხორციელების მართვაზე.

1.3 მიზნები

ESMP -ის მიზნებია:

- შეიქმნას მეთოდოლოგია პირველ ტომში - ESIA-ში გამოვლენილი ზემოქმედებების მართვისთვის.
- უზრუნველყოს პროექტის შესაბამისობა საქართველოს მარეგულირებელ ჩარჩოებთან.
- უზრუნველყოს პროექტის შესაბამისობა კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), GIZ და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) გარემოსდაცვით და სოციალურ მოთხოვნებთან.
- უზრუნველყოს სათანადო ადამიანური რესურსებისა და ბიუჯეტის გამოყოფა პროექტის მიერ, ESMP განხორციელებისთვის.

ამ მიზნების მისაღწევად, ESMP მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- პროექტის ვალდებულებების შესახებ პრეზენტაცია; თითოეული ჩარევისა და შერბილების ვალდებულებებით გამოწვეულ ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედების აღწერილობას;
- პროექტის ზემოქმედებების მართვისთვის, შემოთავაზებული განხორციელების სტრუქტურა და შესაძლებლობათა ზრდის ღონისძიებები;
- ვალდებულებათა შესასრულებლად საჭირო მართვის გეგმის აღწერა;
- ESMP -ის განხორციელებისთვის საჭირო ბიუჯეტის პრეზენტაცია.

2. ზემოქმედებისა და ვალდებულებების პრეზენტაცია

ცხრილი 2-1 -ში წარმოდგენილია ერთგვარი შეჯამება, ყველა იმ ზემოქმედებისა და შემარბილებელი ღონისძიებისა, რომელიც გამოვლინდა როგორც გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების პროცესის ნაწილი, რომელიც აღწერილია ანგარიშის პირველ ტომში.

მოსალოდნელია, რომ ESMP-ის განხორციელებით, მოხდება ზემოქმედებების ეფექტური მართვა და მთლიანი პროექტი იქნება GCF-ის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტებისა და GIZ S+G მოთხოვნებთან შესაბამისობაში. განხორციელდება ESMP-ის რეგულარული მონიტორინგი, იმ ინდივიდუალური გეგმების ჩათვლით, რომლებიც მეხუთე ნაწილშია წარმოდგენილი, და ვალდებულებების ჩათვლით, რომელიც შექმნილია პროექტის მიერ (რაც გაწერილია 2-1 ცხრილში) და ამის შესახებ ანგარიშგება მოხდება პროექტის მმართველი კომიტეტისა და პროექტის განმახორციელებელი ერთეულის წინაშე.

ESMP განახლდება ყოველწლიურად, მონიტორინგსა და შეფასებაზე დაყრდნობით, აგრეთვე კონტრაქტორების ზედამხედველობისა და შედეგების შეფასების საფუძველზე.

<p>გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა</p>	<p>ნაწილი 2: ESMP</p>	
--	-----------------------	---

საერთო ჯამში, შემოთავაზებულია 103 შემარბილებელი ღონისძიება, თითოეული შემოთავაზება შედიოდა ერთ რომელიმე მართვის გეგმაში, რომელიც წარმოდგენილია მეხუთე ნაწილში, გარდა 9 შემარბილებელი ღონისძიებისა, რომელიც არ არის არც ერთი გეგმის ნაწილი და ისინი წარმოადგენს განსაკუთრებულ ქმედებებს, რომლებიც არ საჭიროებს გეგმას და მათი შესრულება გაკონტროლდება უშუალოდ 2-1 ცხრილის მეშვეობით.

ESIA/ESMP განთავსდება GIZ და GCF ვებგვერდზე, 30 დღის განმავლობაში, საბჭოს შეხვედრის გამართვამდე, სადაც დაფინანსების შეთავაზებასაც განიხილავენ, როგორც ეს GCF და GIZ მიერაა მოთხოვნილი.



ცხრილი 2-1: ზემოქმედებებისა და ვალდებულებების შეჯამება

აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
ყველა აქტივობა	0	პირველადი სახით დაგეგმილმა აქტივობებმა შეიძლება ხელი შეუწყოს COVID-19-ის გავრცელებას, თუ დამატებითი ღონისძიებების ადაპტირება არ მოხდება პროექტის პერსონალის, პარტნიორების, ბენეფიციარებისა და დაინტერესებული მხარეების დასაცავად.	0	COVID 19-ის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, სავარაუდოდ, საჭირო გახდება ზოგიერთ აქტივობაში ცვლილებების შეტანა, პროექტის პერსონალის, პარტნიორებისა და ბენეფიციარების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ეს შეიძლება მოიცავდეს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის ალტერნატიული ფორმატების მოძიებას, ან ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესაბამისი პროტოკოლების არსებობის უზრუნველყოფას. პროექტი გაითვალისწინებს საქართველოს მთავრობის, GIZ-ის, SDC-ისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებსა და მითითებებს, COVID-19-ის ცვალებადი ვითარების შესაბამისად. პირისპირ შეხვედრის აუცილებლობის შემთხვევებში, მიღებული იქნება ზომები, როგორცაა სათანადო ვენტილაციის მქონე, ან დიდი სივრცეების შერჩევა, სადაც შესაძლებელი იქნება დისტანციის დაცვა, საჭირო იქნება პირადი დამცავი აღჭურვილობის ტარება (და საჭიროების შემთხვევაში, მონაწილეებისთვის მიწოდება) და ჰიგიენური ნორმების დაცვა (მაგ. ხელების დაბანა, ზედაპირების დეზინფექცია და სხვა). ღონისძიებაზე დასწრების ოქმები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იქნება მონაწილეთა ინფორმირებისთვის იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე	არ არის შეფასებული



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
				<p>მონაწილეს COVID-19 დაუდასტურდება შეხვედრიდან 2 კვირის განმავლობაში.</p> <p>ვინაიდან მდგომარეობა ძალიან დინამიურია, საჭიროა მჭიდრო მონიტორინგი და სიტუაციის შესახებ მოხსენება, ასევე მოქნილობის უზრუნველყოფა განვითარებულ მოვლენებზე საჭიროებისამებრ რეაგირებისთვის.</p>	
კომპონენტი 1 - ტყის მდგრადი მართვა					
აქტივობა 1.1: ტყის მდგრადი მართვის (SFM) გეგმის შემუშავება და განხორციელება.	1	ველური ბუნებისა და ფლორის განადგურება ჭრებითი ღონისძიებების დროს.	1.1	პრევენციული ღონისძიების სახით და ჭრებამდე არა უმეტეს ორი დღით ადრე, პროექტი განხორციელებს ვეგეტაციის სწრაფ შეფასებას, რათა შემოწმდეს ყველა ხე და რომ მათზე არ იყოს ბუდეები. ხეები, რომლებზეც იქნება ბუდეები, არ მოიჭრება. შემცირებული ზემოქმედებით ჭრა (RIL) და ვეგეტაციის შეფასება ასახული იქნება სატყეო სააგენტოს მიერ მომზადებულ ტყის მდგრადი მართვის (SFM) და ყოველწლიურ გეგმებში.	5.1 ESHS-MS და 5.2 ESHS საკონტრაქტო მოთხოვნების პროცედურა მშენებლობისთვის
	2	ჭრებისა და მორთრევის დროს, შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის (OHS) რისკები სატყეო სააგენტოსთვის, პროექტის პერსონალისთვის და კონტრაქტორებისთვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჭრებისა და მორთრევის და	2.1	პროექტი უზრუნველყოფს უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და შესაბამის მიზნობრივ ტრენინგს. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ ტრენინგს ხის მჭრელებისთვის, განსაკუთრებით კი მთიან ადგილებში და მანქანის თავდაცვითი მართვის ტრენინგს, ხე-ტყის სატვირთო მანქანებისა და მსუბუქი ავტომობილების	5.1 ESHS- S და 5.2 ESHS საკონტრაქტო მოთხოვნების პროცედურა მშენებლობისთვის



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
		ტრანსპორტირების დროს უბედური შემთხვევები.		მძღოლებისთვის. შემუშავდება უსაფრთხოების პროცედურები მძღოლებისთვის.	
			2.2	უსაფრთხოების ყველა ტრენინგის ჩატარება და დოკუმენტირება.	5.1 ESHS-MS და თავი 4.
			2.3	ESHS-MS-ში უნდა გაერთიანდეს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის პროცედურები, პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდეს უსაფრთხოების დაცვის კულტურა, და ინციდენტების და უბედური შემთხვევების შესახებ გაცხადების, ანგარიშგების, დოკუმენტირების და მართვის წესები. SFM და ყოველწლიური გეგმები უნდა მოიცავდეს ESHS-MS მთავარ კომპონენტებს.	5.1 ESHS-MS.
			2.4	რეინჯერებს, ხის მჭრელებს და სატყეო სააგენტოს პერსონალის PPE-ით (პირადი დამცავი აღჭურვილობა) უზრუნველყოფა დანიშნულებისამებრ (მაგ. მყარ ზედაპირიანი ჩაფხუტები, დამცავი ჩექმა, ხელთათმანები და ა.შ.)	5.1 ESHS-MS და 5.2 ESHS საკონტრაქტო მოთხოვნების პროცედურა მშენებლობისთვის
	3	ტყეში მისასვლელი გზების მშენებლობისას, მათ შორის მდინარეებზე გადასასვლელი დამორსატორები ბილიკების მშენებლობისას. ზემოქმედება მუშათა შრომით უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე (OHS), ნარჩენების,	3.1	შემარბილებელი ღონისძიება #2.1-დან 2.4-მდე.	როგორც ზემოთაა მოცემული.
			3.2	სწრაფი გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ჩატარება, ნებისმიერი სამშენებლოაქტივობის წინ და მცენარეულობის სწრაფი შეფასება (მცენარეულობის გასუფთავება ქიმიური ნივთიერებების გამოყენებით	5.4 სწრაფი გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვა



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
		ხმაურისა და მტვრის		არაა ნებადართული, მხოლოდ მექანიკური გამოხშირვა იქნება გამოყენებული).	
			3.3	მშენებლობის საკონტრაქტო მოთხოვნების ESHS პროცედურის მომზადება და შესრულება(რაც მოიცავს ყველა სამუშაო ადგილის ცეცხლმაქრებით, წყლის გამფრქვადღერის საწინააღმდეგო მოწყობილობებით (ურნებიტურთ) აღჭურვას, დაღერის საწინააღმდეგო ნაკრების განთავსებას ყველა ავტომობილში, სპეციალურად შეფუთული ადგილებს საწვავის შესავსებად, ნარჩენების სეპარაციას, ნადირობის აკრძალვას, პროექტის აღჭურვილობის ან ავტომობილების გარეცხვის აკრძალვას მდინარეებთან ახლოს.)	5.2 ESHS საკონტრაქტო მოთხოვნების პროცედურა მშენებლობისთვის
			3.4	გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის სისტემის შემუშავება დანიშნულებისამებრ, რომელიც მოიცავს ESHS გეგმისა და პროცედურების მომზადებას, მათ შორის ადამიანური რესურსების პოლიტიკას დაცევის კოდექსს. ეს უნდა შევიდეს ტყის მართვის შესახებ დებულება #242-ის მე-13 მუხლში (განახლების პროცესშია, 2020 წლის მაისში ახალი ტყის კოდექსის დამტკიცებიდან გამომდინარე). ტყის მართვის გეგმები და ყოველწლიური გეგმები უნდა მოიცავდეს ESHS-MS-ის მთავარ კომპონენტებს.	5.1 ESHS-MS გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის სისტემა



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
			3.5	მიწასთან დაკავშირებული ყველა სამუშაო დაიგეგმოს იმგვარად, რომ მოხდეს სივრცის მართვის ოპტიმიზაცია, რათა მაქსიმალურად შემცირდეს ის გასუფთავებული მიწის ზედაპირი და ფართობი, რომელზეც ნიადაგის ეროზიის დიდი რისკია.	5.2 ESHS საკონტრაქტო მოთხოვნების პროცედურა მშენებლობისთვის.
			3.6	შეიზღუდოს გზებისა და მორსათრევი ბილიკების მშენებლობა საქართველოს კანონში გაწერილ ზედაპირული წყლების ბუფერულ საზღვრამდე, რათა შემცირდეს ნალექების აკუმულირება, წყლის მცენარეებსა და ცხოველებზე ზეგავლენა და იყოს შესაბამისობაში წყლის შესახებ საქართველოს კანონთან (კანონი უზრუნველყოფს ბუფერის საზღვრებს, მდინარის სიგრძის მიხედვით).	5.2 ESHS საკონტრაქტო მოთხოვნების პროცედურა მშენებლობისთვის
			3.7	მდინარეზე გადასასვლელი აშენდეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების მიხედვით. ზედაპირული წყლების დაფარვა სამშენებლო მასალებით აკრძალულია და არ დაიშვება მდინარის კალაპოტის არცერთნაირი ცვლილება მშენებლობისა და სხვა ოპერაციების განმავლობაში. პროექტი გამოიყენებს ხიდებს ან სპეციალურ ჩარჩოირებულ კულვერტებს ზედაპირულ წყლებზე გადასასვლელად.	5.2 ESHS საკონტრაქტო მოთხოვნების პროცედურა მშენებლობისთვის
			3.8	უნდა გამაგრდეს ფერდობები და გაკონტროლდეს ეროზია მთავარ სარისკო ადგილებში მცენარეული საფარისა და სხვაბუნებრივი პროცესების (ბიოინჟინერია) გამოყენებით.	5.2 ESHS საკონტრაქტო მოთხოვნების



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
					პროცედურა მშენებლობისთვის
			3.9	ტყის გზების, მორსათრევი ბილიკებისა და განსათავსებელი ადგილების მშენებლობისთვის ამოთხრილი მასალების დაფლა ფერდობების გასწვრივ არ არის ნებადართული.	5.2 ESHS საკონტრაქტო მოთხოვნების პროცედურა მშენებლობისთვის
			3.10	ტყის გზების მშენებლობის და მოვლა-პატრონობისათვის საუკეთესო პრაქტიკების გამოიყენება. (ფერდობის დაცვა და გამყარება, დრენაჟები, მდინარეზე გადასასვლელი აღჭურვილობის შერჩევა და სხვ), მოვლისათვის (მაგ. GIZ სამშენებლო პროცედურები, FAO -ს სახელმძღვანელო ტყის გზების ინჟინერიისთვის მთიანი რელიეფის პირობებში, ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის გაიდლაინები: მიწათმფლობელების სახელმძღვანელო ტყეში მისასვლელი გზების მშენებლობისთვის, 2014წლის საუკეთესო პრაქტიკების სახელმძღვანელო, ტყის გზის დაგეგმვა და მშენებლობა საქართველოსთვის; გერმანიის სოფლის მეურნეობის, კონსერვაციისა და გარემოს დაცვის სამინისტრო, 2009 წ.: ნიადაგის კონსერვაცია და მისადგომლობა ტყეში - სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისთვის.	5.2 ESHS საკონტრაქტო მოთხოვნების პროცედურა მშენებლობისთვის
			3.11	კლიმატის ცვლილების ადაპტაციასთან დაკავშირებული რისკები მოიცავს პროექტის ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის დაზიანებას და	ანგარიში განხორციელებადობი სკვლევის შესახებ



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
				<p>პროექტის გრძელვადიანი ამოცანების მიღწევაში ბარიერების წარმოქმნას. ამ რისკის გადაჭრა მოხდება SFM-ების შემუშავების მეშვეობით, ტყეების მოწყვლადობის შეფასებითა და შედეგების მართვის გეგმებში, ტრენინგებსა და პროტოკოლებში ინტეგრირებით, რათა მოხდეს ამ შედეგების ჩართვა პოლიტიკის შემუშავების პროცესში.</p> <p>კონკრეტულად, პროექტისთვის ეს შეიძლება მოიცავდეს მდგრადი ტყის გზების მშენებლობას და კლიმატისადმი მედეგი სახეობების გამოყენებას ადდგენის პროცესში.</p>	
	4	ტყეში მისასვლელი გზებით ტყეზე ხელოვნურად გამოწვეული წვდომის გამო, ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედების რისკი.	4.1	<p>მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება ყველა სატყეო გზაზე, გარდა სამინისტროს, ეროვნული სატყეო სააგენტოს, ზედამხედველობის დეპარტამენტისა და ინსტიტუციებისა. ტყის ახალი კოდექსის მიხედვით, მხოლოდ სატყეო სააგენტოს/ზედამხედველობის დეპარტამენტს ექნება წვდომა სატყეო გზებზე, ტყესთან დაკავშირებული აქტივობებისთვის. ეს განხორციელდება დიდი სიფრთხილით, რათა ადგილობრივ თემებთან მოხდეს კონფლიქტის თავიდან არიდება.</p>	ვალდებულება არაა განსაკუთრებულად აღნიშნული ინდივიდუალური მართვის გეგმებში



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
	5	ჭრებითი ღონისძიებების დროს, სატყეო გზებსა და მორსათრევი ბილიკებზე მუშაობამ შესაძლოა გამოიწვიოს ნალექის დაგროვება და ეროზია (ზოგიერთი რეგიონიურ მეტად არის მიდრეკილი ეროზიისკენ), ასევე, ზემოქმედება წყალზე, სამუშაოების დროს მტვერის წარმოქმნა, საშიში ნივთიერებების დაღვრით ნიადაგზე ზემოქმედება და ნარჩნების წარმოქმნა.	5.1	შემარბილებელი ღონისძიება #3.2-დან 3.10-მდე.	როგორც ზემოთაა მოცემული.
	6	საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის ხე-ტყის მოჭრის შეზღუდვებმა და BSY- სგან საწვავის და სამასალე ხე- ტყის შექმნის მოთხოვნამ, შეიძლება გაზარდოს ენერჯის ხარჯი შეინამეურნეობებისთვის ან ხელი შეეშალოს მათ, საჭმლის მომზადებისა და გათბობის მიზნით საწვავი/სამასალე მერქნის მოპოვებაში კერძოდ კი ეს ეხება მოწყვლად შინამეურნეობებს და დროებით	6.1	მოწყვლადი მოსახლეობა უნდა მომარაგდეს საწვავი მერქნით სუბსიდიების ან საბილეთო სისტემის მეშვეობით, ეს უნდა მოიცავდეს მათსახლებამდე ტრანსპორტირებასაც (ამჟამად ეს განხილვის საკითხია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში).	ვალდებულება არაა განსაკუთრებულად აღნიშნული ინდივიდუალურ მართვის გეგმებში
			6.2	მჭიდრო კომუნიკაცია ე.წ. დროებით მოსახლეობასთან (მწყემსებთან) და მათი ჩართვა მონაწილეობითი კონსულტაციების პროცესში, მათ შორის ტყის მდგრადი მართვისგეგმების შემუშავებაში, მოვების ადგილების, EE ღუმელების, ბრიკეტებისა და სხვა თემების შესახებ განხილვებში.	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (დაფინანსების შეთავაზების მე-7 დანართი და 4.6. ტყის მდგრადი მართვის ჩართულობითი



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
					გეგმები)
			6.3	მთავრობის მიერ სუბსიდიების უზრუნველყოფა EE ღუმელების შესაძენად მოწყვლადი შინამეურნეობებისთვის.	ვალდებულება არაა განსაკუთრებულად აღნიშნული ინდივიდუალური მართვის გეგმებში
			6.4	ბრიკეტების ღირებულების წარდგენა თემისთვის რეალისტური ფასით, მათი ამჟამინდელი ენერგო-ხარჯიანობის გათვალისწინებით. ალტერნატიული საწვავი საშუალებების უზრუნველყოფაში ხელშეწყობა, რომლიც მოიცავს ბრიკეტებსა და სხვა საშუალებებს.	ვალდებულება არაა განსაკუთრებულად აღნიშნული ინდივიდუალური მართვის გეგმებში
			6.5	სოციალური მხარდაჭერის გეგმის ¹ განხორციელება თითოეული რეგიონის სტრატეგიული გეგმისა და თემთანკონსულტაციების შედეგების გათვალისწინებით.	5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა

¹ 1-ლ და მე-2 კომპონენტებთან დაკავშირებული პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების გადასაჭრელად, ESIA-ს თავდაპირველ ვერსიაში განსაზღვრული იყო სოციალური მხარდაჭერის გეგმის შემუშავების საჭიროება. გეგმის მიზანია პროექტის სარგებლის გაზიარება ადგილობრივი ტყითმოსარგებლეებისთვის, მათთვის დასაქმების შესაძლებლობების მაქსიმალურად გაზრდა და ახალი ტყის კოდექსთან და შესაბამის მეორად კანონმდებლობასთან დაკავშირებული სოციალური და გარემოსდაცვითი რისკის მინიმუმამდე დაყვანა. სოციალური მხარდაჭერის გეგმასთან დაკავშირებული ქმედებები ძირითადად ინტეგრირებულია შეივარის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებულ GCF პროექტის მე-3 კომპონენტში (სადაც დიზაინის შემუშავება დასრულდა 2021 წლის დასაწყისში). უფრო დეტალური ინფორმაცია ამ გეგმის შესახებ მოცემულია 5.3 თავში.



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
			6.6	ადგილობრივი კონტექსტის მაქსიმალურადგაზრდა თემის წევრების დასაქმებითა და ადგილობრივი საქონლისა და მომსახურებისშეძენით. ადგილობრივი შესყიდვებისა და დასაქმების მიზნების შემუშავება (ხის მოჭრა, ტრანსპორტირება, ღუმელების და ბრიკეტების წარმოება, ტყის აღრიცხვის განხორციელება, ტყის განახლება, ნედლეულის ღირებულებათაჯაჭვის შექმნა ბრიკეტების წარმოებისთვის და სხვ.). კრიტერიუმები უნდა მოიცავდეს შემდეგს: პრიორიტეტი მიენიჭება თემში არსებულ კომპანიებს. დასაქმების შესახებ ყველა განცხადებაში მიეთითება, რომ ქალთამიერ განაცხადის შევსება მისასალმებელია.	5.1 ESHS-MS, 5.2 ESHS საკონტრაქტო მოთხოვნების პროცედურა მშენებლობისთვისდა 5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა.
			6.7	MoEPA და NFA-ის მიერ შესყიდვების გამჭვირვალე სისტემის შემუშავება. ტენდერები გამოცხადდება მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში.	5.1 ESHS-MS.
	7	კულტურული მემკვიდრეობის ადგილებზე წვდომის შეზღუდვასან ზემოქმედება იმ კულტურულ ძეგლებზე, რომლებიც მდებარეობს ტყეში (არც ერთი თემი, რომლებთანაც გაიმართა შეხვედრა,არ იყენებს ტყეს კულტურული	7.1	იმ თემების გამოვლინება, რომლებიც ტყეს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობითიყენებს და შეთანხმებული უფლებების ჩამოყალიბება ამ ტყის გამოყენებისთვის. თუ საჭიროა, ტყის მდგრადი მართვის თითოეული ინდივიდუალური გეგმისთვის.	5.6 ტყის მდგრადი მართვის მონაწილეობითი გეგმები



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
		მემკვიდრეობის მიზნებისთვის, თუმცა შესაძლოა საქართველოში იყოს ისეთი თემები, რომლებიც იყენებენ ტყეს კულტურული აქტივობების განსახორციელებლად	7.2	პროცედურის შემუშავება კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის შემთხვევაში.	5.5 პროცედურა კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის შემთხვევაში
	8	ახალი ტყის კოდექსი იძლევა საქონლის ძოვების და ხილის, მცენარეების, კენკრის, სოკოს დასხვა არამერქნული პროდუქტების შეგროვების საშუალებას არაკომერციული მიზნებისთვის. თუმცა, იქნება შეზღუდვები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სოციალურ-ეკონომიკური მდელვარება და სათემო კონფლიქტი.	8.1	შინაარსობრივი კონსულტაციების გამართვა თემთან, ტყის მდგრადი მართვის გეგმების შესახებ, აგრეთვე ძოვებისთვის და არამერქნული პროდუქტების შეგროვებისთვის	5.6 ტყის მდგრადი მართვის მონაწილეობითი გეგმები და ტომი 1
			8.2	ტყის მდგრადი მართვის გეგმებზე კონსულტაციების გამართვამდე, კომუნიკაციისა და მოლაპარაკებების შესახებ თემისთვის ცნობიერების ასამაღლებლად, უნდა ჩაერთოს ფასილიტატორი.	5.6 ტყის მდგრადი მართვის მონაწილეობითი გეგმები და ტომი 1
			8.3	სოციალური მხარდაჭერის გეგმის განხორციელება, რომელიც გააძლიერებს ადგილობრივ აქტივობებს (მაგ. ტყის ერთობლივ მართვას, მათ შორის სამოვრების მართვის გაუმჯობესებას და ტყის არამერქნული პროდუქტების დამატებით ღირებულებას).	5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა
	9	ბუნებრივი საფრთხეების რისკი, როგორცაა მეწყერი, წყალდიდობა და ზვავები გზების მშენებლობისა და მოვლის დროს, მორსათრევი ბილიკების მშენებლობისა და ჭრებითი ღონისძიებების დროს.	9.1	საგანგებო სიტუაციაში რეაგირების გეგმის მომზადება და მისი გაცნობა, რომელიც მოიცავს რეაგირებას ბუნებრივი კატასტროფების დროს, ინსტიტუციებისა და მომუშავე პირებისთვის.	5.1 ESMS-MS.
	10	ეროვნულ სატყეო სააგენტოს/ზედა მხედველობის	10.1	შემარბილებელი ღონისძიება #6.5	როგორც ზემოთაა მოცემული.



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
აქტივობა 1.2: ტყის ზედამხედველობის გაძლიერება		დეპარტამენტსა და თემებს შორის კონფლიქტი ხის ჭრის შეზღუდვებისა და ჯარიმების გამოწერის გამო, რაც შესაძლოა, ფიზიკურ დაპირისპირებამდეც მივიდეს.	10.2	სამინისტროსთვის, ეროვნული სატყეო სააგენტოსა და ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის შესაძლებლობათა ზრდის უზრუნველყოფა შემდეგ საკითხებზე: ა) კონფლიქტების მართვა და შუამავლობა, დაავების მოგვარება ბ) თემთან კომუნიკაცია და თემის ჩართულობა გ) შრომითი უსაფრთხოება და ჯანმრთელობა დ) გარემოსდაცვითი კომუნიკაცია ე) ფლორისა და ფაუნის სახეობათა დადგენა და ბიომრავალფეროვნების შესახებ ცნობიერება. მიზანი - ინსტიტუციური კომპეტენციის შექმნა დიალოგისა და თანამშრომლობისათვის, და გაზრდილი შესაძლებლობები გარემოსდაცვითი კომუნიკაციის მიმართულებით, სამინისტროში ინკლუზიური მდგრადი განვითარებისთვის.	ნაწილი 4
			10.3	გაიდლაინებისა და პორცედურების მომზადება სამინისტროსთვის, ეროვნული სატყეო სააგენტოსა და ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის, შემდეგ საკითხებზე: ა) კონფლიქტების მართვა, შუამავლობა და დაავების მოგვარება ბ) თემთან კომუნიკაცია და თემის ჩართულობა გ) შრომითი უსაფრთხოება და ჯანმრთელობა დ) გარემოსდაცვითი კომუნიკაცია და ფლორისა და ფაუნის გამკვლევი.	ნაწილი 4



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
			10.4	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის შემუშავება და თემთან რეგულარული კომუნიკაცია პროექტის აქტივობების მიხედვით და ჩართულობითი სახის კონსულტაციები ნებისმიერი რეგულაციის შესახებ, რომელიც მათზე იქონიებს გავლენას. მათ შორის ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება ახალი ტყის კოდექსის მოთხოვნებისა და შეზღუდვების შესახებ. NGO-ებისა და შუამავალი აგენტების ჩართვა.	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (დაფინანსების შეთავაზების მე-7 დანართი)
			10.5	გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისთვის პროგრამის შემუშავება თემებისთვის და სკოლებისთვის, რომელიც მოიცავს ტყეში რეკრეაციული აქტივობების გამართვასაც. სკოლების საგანმანათლებლო ტურების მოწყობა, ეკო-მეგობრული ნიშნების დამაგრება ხეებისთვის სახეობების მისანიშნებლად და მათი გამოყენება ხეების სახეობების შესახებ ცოდნის ხელშესაწყობად, საფეხმავლო ბილიკების მოწყობა, საკემპინგე ადგილების მონიშვნა და ნაგვის ურნების დამონტაჟება.	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (დაფინანსების შეთავაზების მე-7 დანართი)
	11	საარსებო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის შეფერხება ნადირობის შეზღუდვებისა და გაზრდილი ზედამხედველობის გამო	11.1	შემარბილებელი ღონისძიება #6.5	როგორც ზემოთაა მოცემული



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
	12	ტყეში ნარჩენების წარმოქმნა DES პერსონალისა და/ან კონტრაქტორების მიერ პატრულირების დროს.	12.1	NFA-ის, ზედამხედველობის დეპარტამენტის, სამინისტროს და მათ შორის კონტრაქტორებისთვის ცოდნის მიწოდება, ნარჩენების წარმოქმნის შემცირების და ნარჩენების მართვის შესახებ (მაგ. მუშების მიერ ტყეში წარმოქმნილი ნარჩენების გამოტანა და ამ ნარჩენების შესაფერისი განთავსების სისტემის უზრუნველყოფა)	5.1 ESHS-MS და 5.2 ESHS საკონტრაქტო მოთხოვნების პროცედურა მშენებლობისთვის
	13	თემის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება: სატრანსპორტო უბედური შემთხვევები გაზრდილი მობილურიალჭურვილობის გამო.	13.1	გადაადგილების/მოძრაობის წესები, მათ შორის სიჩქარის ლიმიტის დაწესება	5.1 ESHS-MS და 5.2 ESHS საკონტრაქტო მოთხოვნების პროცედურა მშენებლობისთვის.
			13.2	თავდაცვითი მართვის შესახებ ტრენინგი	5.1 ESHS-MS and 5.2 ESHS საკონტრაქტო მოთხოვნების პროცედურა მშენებლობისთვის.
ქტივობა 1.3: NFA-ის მიერ მდგრადად წარმოებული საშემე მერქნით უზრუნველყოფა	14	ენერჯის საფასურის ზრდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ყველა შინამეურნეობაზე ზოგადად და განსაკუთრებით კი - მოწყვლად ოჯახებზე, საშემე მერქნის საქმიანი ეზოებიდან ყიდვის აუცილებლობის გამო	14.1	შემარბილებელი ღონისძიებები #6.1 - 6.7-მდე	როგორც ზემოთაა მოცემული



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
		(იგივე რაც ზემოქმედება #6)			
	15	ჯანრმთელობისა და უსაფრთხოების რისკები სატყეოსააგენტოს პერსონალისთვის საქმიანი ეზოების ყოველდღიური მართვის განმავლობაში.	15.1	შემარბილებელი ღონისძიებები #2.1 - 2.4.- მდე	როგორც ზემოთაა მოცემული
	16	ტყეების უფრო მეტი დეგრადაცია, გამოწვეული NFA-სმიერ საქმიანი ეზოების დაფუძნების, თემის მიერ არაკანონიერი ქრების გაგრძელების და თემის მხრიდან ყიდვის ნაკლებობის კომბინაციით.	16.1	შერბილება #6.5, 6.6, 10.3 და 10.4.	როგორც ზემოთაა მოცემული
			16.2	კერძო კომპანიებთან თანამშრომლობისთვის გზების გამონახვა - მაგალითად ჰესებთან რომლებიც უნდა იყოს ტყის მდგრადი მართვისგეგმებთან შესაბამისობაში (ზოგიერთ კომპანიას მოეთხოვება ტყის დანაკარგის დაბალანსება ან კომპენსაცია) და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიის ფარგლებში მხარი დაუჭირონ ღუმელებისა და ბრიკეტების მოსახლეობისთვის გაცნობის პროცესს.	ვალდებულება არაა განსაკუთრებულად აღნიშნული ინდივიდუალური მართვის გეგმებში



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
			16.3	თემში ტყესთან დაკავშირებულ საკითხებზე საკომუნიკაციო პირების გამოვლენა და დადგენა, რათა მოხდეს ცოდნის მიწოდება თემის წევრებისთვის, მონიტორინგის მხარდაჭერა, ხეების აღრიცხვა და საკუთრების გრძნობის გაღვივება ტყეების მიმართ.	ნაწილი 3, 5.6 ტყის მდგრადი მართვის ჩართულობითი გეგმები და ტომი 1
			16.4	ტყის ბაზისის შექმნა სატელიტური იმიჯების გამოყენებით, რომელიც იყენებს SPOT სატელიტურ გაფართოებას (ფრანგულად: Satellite Pour l'Observation de la Terre), რომელთაც აქვს სხვადასხვა გაფართოება, რაც ხელს უწყობს სიზუსტეს პროცესში. საკვლევი ობიექტიანი ზედაპირის შესწავლა (Ground truthing) საჭირო იქნება მხოლოდ სპეციფიკური პრობლემური ფართობებისთვის და ის ინფორმაციულად დაეხმარება სივრცული ანალიზის პროცესს. ეს შეიძლება გამოყენებული იყოს ტყის კოდექსის და ტყის მდგრადი მართვის გეგმების წარმატების მონიტორინგისათვის.	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (დაფინანსების შეთავაზების მე-7 დანართი)
			16.5	მიწათსარგებლობის რუკების ცვლილებების და მგრძობელობის გამოყენება თემთან კომუნიკაციისთვის, როგორც ეს მეორე ტომშია ნაჩვენები.	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (დაფინანსების შეთავაზების მე-7 დანართი)
	17	შემოსავლის შემცირება არაფორმალური ბიზნესებისთვის	17.1	შემარბილებელი ღონისძიება #6.5, 6.6, და 19.3.	როგორც ზემოთაა მოცემული



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
		(შუამავლებისთვის), რომლებიც იციან საშეუ ან სამასალე მერქანს.	17.2	ოფიციალური დასაქმების შეთავაზება მაგალითად ხის დამამზადებლებისთვის დასხვა სამსახურები, რომელიც შეიქმნება პროექტის მიერ.	5.1 ESHS-MS და 5.2 ESHS საკონტრაქტო მოთხოვნების პროცედურა მშენებლობისთვის და 5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა
	18	14 საქმიანი ეზოს დაგეგმვა მშენებლობასთან დაკავშირებული მცირე საზიანო ზემოქმედებები, მათ შორის შრომითი უსაფრთხოების, მტვრის, ხმაურისა და ნარჩენების წარმოქმნის კუთხით.	18.1	სწრაფი გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი ყველა იმ ინფრასტრუქტურული მშენებლობისა, რომელსაც პროექტი განავითარებს (მაგ. საქმიანი ეზო), რათა გარანტირებული იყოს ზემოქმედების მაქსიმალური შემცირება (მაგ. კანალიზაცია, ნარჩენების მართვა, უსაფრთხოება, მათი აღჭურვა მზის ენერჯის სისტემით, სხვა)	5.4. სწრაფი გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი
			18.2	საქმიანი ეზოების აღჭურვა ცეცხლმაქრებით. შესაძლებლობათა ზრდა საქმიანი ეზოების პერსონალისთვის ცეცხლის ჩაქრობის შესახებ.	5.1 ESHS-MS.
			18.3	ყოფილი საწარმოო ტერიტორიების *ე.წ. „ბრაუნფილდი“) შერჩევა საქმიანი ეზოების მშენებლობისთვის, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ზემოქმედების კვალი.	5.4. სწრაფი გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვა
	19	საწვავ მერქანზე	19.1	შემარბილებელი ღონისძიება #6.1	როგორც ზემოთაა მოცემული



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
		ხელმისაწვდომობის შემცირება საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის და საწვავ და სამასალე მერქანზე წვდომის შეფერხება, სოციალური ჭრების პროგრამის გაუქმების და მისი საქმიანი ეზოებიდან შექმნის მოთხოვნების გამო.	19.2	საქმიანი ეზოების ადგილები უნდა შეირჩეს თემისთვის მისადგომლობის კუთხით სიადვილის მიხედვით. იმისთვის, რომ შემცირდეს ხელოვნურად გამოწვეული წვდომატყეებზე, საქმიანი ეზოები უნდა მდებარეობდეს ტყის გარეთ, გზასთან ახლოს. ასევე გასათვალისწინებელია სამთავრობო მოთხოვნა ტყესა და მუნიციპალიტეტებს შორის მანძილთან დაკავშირებით.	5.4. სწრაფი გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი.
			19.3	EE ღუმელების დანერგვა, რომელსაც სჭირდება უფრო ნაკლები საწვავი მერქანი; აგრეთვე ფინანსური მხარდაჭერა შინამეურნეობებისთვის, EE ღუმელების შესძენად.	ვალდებულება არაა განსაკუთრებულად აღნიშნული ინდივიდუალურ მართვის გეგმებში



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
აქტივობა 1.4: ხელშეწყობი გარემოს გაძლიერება ეკოსისტემაზე დაფუძნებული ტყის მდგრადი მართვის ეროვნული მასშტაბით განსახორციელებლად (SFM)	20	ეს აქტივობა მოიცავს სამინისტროს მხარდაჭერას ტყისკოდექსის მეორადი დებულებების ამოქმედებაში, რომელიც აუცილებელია ეკოსისტემაზე დაფუძნებული SFM- ის განხორციელებისთვის; აგრეთვე მმართველი კომიტეტის და სამუშაო ჯგუფების შექმნასა და ინფორმაციაზე წვდომას. ამ აქტივობის შედეგი, ტყის არამერქნული რესურსების კომერციულ გამოყენებასთან დაკავშირებული მეორადი აქტის შემუშავება და განხორციელება, შესაძლოა გახდეს თემში არეულობის, მღელვარების მიზეზი.	20.1	შემარბილებელი ღონისძიება 10.4	როგორც ზემოთაა მოცემული



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
აქტივობა 1.5: მონიტორინგის და MRV სისტემების (აზომვების, ანგარიშგების, შემოწმების სისტემა) გაძლიერება ტყის სექტორისთვის.	21	ეს აქტივობა აუცილებელია მართვისა და ანგარიშგებისთვის. როგორც ასეთი, მავნე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, ან მოსალოდნელია მხოლოდ უმნიშვნელო ზემოქმედება და არ საჭიროებს შემარბილებელ ზომებს.	არ არის შეფასებული	უმნიშვნელო ზემოქმედება. არ საჭიროებს შემარბილებელ ზომებს.	არ არის შეფასებული
კომპონენტი 2 - ენერგო ეფექტურობისა (EE) და ალტერნატიული საწვავისთვის (AF) ზაზრის განვითარება					
აქტივობა 2.1: EE-AF მიწოდების ქსელის განვითარებისთვის ტექნიკური დახმარებისა და დამხმარე საინვესტიციო საშუალების შექმნა.	22	ლუმელების ამჟამინდელმა სახელოსნობმა და არაფორმალურმა მომმარაგებლებმა შესაძლოა დაკარგონ თავიანთი ბიზნესი EE ლუმელების დანერგვის გამო.	22.1	პროექტი უზრუნველყოფს ტრენინგებსა და შესაძლებლობათა ზრდას ამჟამინდელი მომმარაგებლებისთვის, იმგვარად, რომ მათ შეძლონ EE ლუმელების წარმოება/მომარაგება. ეს აქტივობა დაგეგმილია კომპონენტი 2-ის ფარგლებში.	5.3 სოციალური მხარდაჭერის პროგრამა
	23	EE ლუმელების მწარმოებლების მიერ დაბინძურების წარმოქმნა, სამუშაო ადგილის დაბინძურება, ნარჩენების შესაბამისი მართვის ნაკლებობა და ზოგადი შეუსაბამობა პროექტის სტანდარტებთან.	22.2	პროექტი უზრუნველყოფს შესაძლებლობათა ზრდას მწარმოებლებისთვის და ნარჩენების მართვას, გარემოსადმი მეგობრული პროდუქტების გამოყენებით, ხმაურისა და მტკვრის მაქსიმალურად შემცირებით, გადმოღვრის შეკავებით და მომუშავე პერსონალისთვის შესაბამისი პირადი	5.3 სოციალური მხარდაჭერის პროგრამა



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
				უსაფრთხოების აღჭურვილობის უზრუნველყოფით.ESMP+G სპეციალისტი მონიტორინგს გაუწევს მომწოდებლებს და ჩაატარებს პერიოდულ ინსპექტირებას მათ სამუშაო პირობებსა და სამუშაო ადგილებზე.	
აქტივობა 2.2: EE-AF საშუალებებისთვის მომხმარებელთა დაფინანსების ინსტრუმენტების განხორციელება.	24	შინამეურნეობების ფინანსური დავალიანება იზრდება და ზეწოლას ახდენს ოჯახისფინანსებზე.	23.1	პროექტი უზრუნველყოფს ფინანსური ინსტრუმენტების მეთვალყურეობას, რათადარწმუნდეს, რომ სრულ შესაბამისობაშია საქართველოს ცენტრალური ბანკის მოთხოვნებთან საოჯახო/ინდივიდუალურსესხებთან დაკავშირებით.	ვალდებულება არაა განსაკუთრებულად აღნიშნული ინდივიდუალურ მართვის გეგმებში
	25	პროექტი მიზნად ისახავს მოწყვლადი ოჯახების მხარდაჭერას მიიღონ EE ღუმელები და ბრიკეტები სხვადასხვა სქემის დახმარებით (ვაუჩერები, გრანტები და სხვ.). ამ მხარდაჭერამ შესაძლოა გამოიწვიოს მთავრობის მიერ გამოყოფილი იმ სოციალური დახმარებების გაუქმება, რომელიც მოწყვლად ოჯახებს მიეწოდებათ.	24.1	სიის მომზადება (ESIA-ისთვის, ისინი ვინც იღებს სოციალურ დახმარებას და შესაძლოა დროებითი მოსახლეობაც, მათი სოციალური სტატუსის გამო), რომელშიც აღნიშნული იქნება ყველა ის ოჯახი, რომელიც მოწყვლადად ითვლება.	ვალდებულება არაა განსაკუთრებულად აღნიშნული ინდივიდუალურ მართვის გეგმებში
			24.2	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს ჩართულობით უნდა მოხდეს იმის გარანტირება, რომ ეს არ მოახდენს ზეგავლენას მოწყვლადი ოჯახებისთვის გამოყოფილ სოციალური დახმარებაზე, აგრეთვე, მუნიციპალიტეტები აუცილებელად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი ამის შესახებ. სამინისტროსთან შეხვედრები გაიმართა 2019 წლის მაისში და ეს საკითხი გადაჭრილია, მაგრამ პროექტის გუნდმა უნდა მისდიოს ამ საკითხს პროექტის განხორციელების განმავლობაში.	ვალდებულება არაა განსაკუთრებულად აღნიშნული ინდივიდუალურ მართვის გეგმებში



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
			24.3	დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნული მასშტაბით ცნობიერების ამაღლების კამპანია, ტყის მდგრადობის, ღუმელებისა და ბრიკეტების ბენეფიტების, მათ შორის ჯანმრთელობითი ბენეფიტების შესახებ, აგრეთვე ტყის ეკოსისტემების მომსახურებების და სხვ. შესახებ.	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (დაფინანსების შეთავაზების დანართი 7)
აქტივობა 2.3: საწვავი მერქნის მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება და მათთვის რჩევების მიწოდება	26	მავნე ზემოქმედება არაა მოსალოდნელი და შემარბილებელი ზომებიც არაა საჭირო.	არ არის შეფასებული	უმნიშვნელო ზეგავლენა. შემარბილებელი ზომები არაა საჭირო	არ არის შეფასებული
აქტივობა 2.4: პოლიტიკისა და რეგულაციების შემუშავება	27	ზეგავლენები უცნობია ამ ფაზაში	26.1	შინაარსობრივი კონსულტაციების გამართვა რეგულაციების, პოლიტიკისა და კანონ-პროექტების შესახებ თემთან და ადგილობრივ მთავრობასთან, რომლებსაც შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ მოსახლეობაზე.	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (დაფინანსების შეთავაზების დანართი 7)
კომპონენტი 3					
აქტივობა 3.1 შემუშავებული და დანერგილია მუნიციპალიტეტის	28	არსებობს რისკი, რომ ქალებისა და მოწყვლადი ჯგუფების (ღარიბი, ან შორეულ მანძილებზე მცხოვრები ოჯახები, იძულებით გადაადგილებული	28.1	პროექტის განხორციელება: <ul style="list-style-type: none"> მოიცავს გენდერულად თანასწორ კონსულტაციებს, მათ შორის კონსულტაციებს მუნიციპალურ ქალთა ოთახებთან, კომიტეტებთან, არასამთავრობო 	5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა 5.7 დაინტერესებული მხარეების



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
<p>ღონის ინსტრუმენტები, პრაქტიკა, გეგმები და საჭირო შესაძლებლობები ჩართულობითი ტყის მდგრადი მართვისა და კონსერვაციისთვის</p>		<p>პირები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები) კონტექსტი და საჭიროებები არ იყოს საკმარისად გათვალისწინებული და წარმოდგენილი ინსტიტუციური, სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავებაში, შესაბამისი ტრენინგების ფონურ კვლევებში და მუნიციპალური ტყის მართვის დანერგვის თანხლებ ინსტრუმენტებში.</p> <p>ახლად შემუშავებული ინსტიტუტები, ინსტრუმენტები, მექანიზმები და რეგულაციები შეიძლება მეტ სარგებელს შეიცავდეს გარკვეული ჯგუფებისთვის, საკმარისად არ ახდენდეს მოწყვლადი ოჯახების, ან ქალების ჩართვას და ელიტური კორუფციის, სარგებლის უსამართლო გაზიარების, არათანაბარი წარმომადგენლობის და გადაწყვეტილების მიღების არათანასწორი უფლების საფრთხეს შეიცავდეს.</p>		<p>ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან (იხილეთ ასევე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა).</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ უზრუნველყოფს მონაწილეობის მიზნების განსაზღვრას და მონიტორინგს (მათ შორის, ქალებისთვის და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის, შესაბამისობიდან გამომდინარე) ▪ ხელს შეუწყობს სხვა ინსტიტუტებთან ცოდნის გაცვლას მუნიციპალურ ტყის მართვასთან დაკავშირებული სოციალური ჩართულობისა და გენდერული თანასწორობის შესახებ, სოფლის განვითარების და სატყეო სექტორის რეფორმის შესახებ ▪ უზრუნველყოფს პროექტის გენდერულად პასუხისმგებლიან მონიტორინგსა და შეფასებას (M&E) ▪ მოიცავს ტრენინგის მასალების შემუშავებას და ტრენინგების განხორციელებას გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის თემებზე. ▪ გენდერის სპეციალისტს (პროექტის გენდერის სპეციალისტს, ან გარე სპეციალისტს) სთხოვს გადახედოს შემუშავებულ საკანონმდებლო და მარეგულირებელ დოკუმენტებს, გაიძლიანებს, 	<p>ჩართულობის გეგმა და საჩივრების პროცედურა</p>



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
				ინსტრუმენტებს და ტრენინგის მასალებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ ისინი გენდერულად მგრძობიარე იყოს. ამ სპეციალისტებმა შეიძლება ასევე ზედამხედველობა გაუწიონ ტრენინგებს გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის შესახებ.	
			28.2	რაც შეეხება გენდერულ თანასწორობას, გენდერული სამოქმედო გეგმა (GAP) მოიცავს დამატებით ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილი იქნას ქალების, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების ქალების მონაწილეობა საპროექტო აქტივობებში და გენდერული თანასწორობისა და გენდერული ბენეფიტების კიდევ უფრო გაძლიერება პროექტის ფარგლებში.	გენდერული სამოქმედო გეგმა (ცალკე დოკუმენტი)
			28.3	ESMP მართვის გეგმა „ტყის მდგრადი მართვის მონაწილეობითი განვითარება“ ჰარმონიზებულია აქტივობებთან 1.1, 3.1 და 3.2.	5.6 ტყის მდგრადი მართვის მონაწილეობითი განვითარება
			28.4	პროექტის საჩივრების პროცედურები ხელმისაწვდომი იქნება პროექტის დაინტერესებული მხარეებისთვის, თუ დაზარალებული პირები, ან ჯგუფები მოინდომებენ საჩივრის შეტანას.	5.7 დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა და საჩივრების პროცედურა.



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
	29	არსებობს რისკი, რომ მუნიციპალური ტყის მართვის მიდგომა გამოიწვევს ტყის რესურსების (მერქანი, საწვავი ხე-ტყე და ტყის არამერქნული პროდუქტები) გადაჭარბებულ მოპოვებას, არასაკმარისი მონიტორინგის, ან არამდგრადი მართვის გამო, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს მოკლევადიან ეკონომიკურ სარგებელს, მაგალითად, მერქნის და ტყის არამერქნული პროდუქტების არამდგრადი მოპოვება. მიუხედავად იმისა, რომ საპროექტო ღონისძიებების უმრავლესობა ფოკუსირებული იქნება დაბალი რისკის აქტივობებზე, აქტიური მართვა შეიძლება მხარდაჭერილი იყოს არსებული მუნიციპალური ტყის მართვის ადგილებში, როგორცაა თუშეთი, სადაც საჭირო იქნება ამ	29.1	<p>აქტივობა 3.1 შემუშავებულია ამ რისკის გათვალისწინებით; ის ხელს შეუწყობს მუნიციპალური ტყის მართვის გამასშტაბურებისთვის ეტაპობრივ მომზადებას, ეტაპობრივი მიდგომის მიხედვით. პროექტი მხარს უჭერს მზადყოფნის ფაზას, რომელიც მოამზადებს ნიადაგს და ჩარჩო პირობებს მუნიციპალური ტყის მართვის პილოტირებისთვის შერჩეულ მუნიციპალიტეტებში. დამხმარე კვლევები ასევე შეაფასებს პოტენციურ მექანიზმებს ამ რისკის შესამცირებლად (მაგ. საქმიანი ეზოების დაარსება მუნიციპალურ დონეზე), მუნიციპალურ ტყის მართვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მიმართულებებზე (მათ შორის ზედამხედველობა, აღსრულება და ადგილობრივი ურთიერთობები) შესაძლებლობების გაძლიერებასთან ერთად.</p> <p>გარდა ამისა, აქტივობა 3.2-ის ფარგლებში შემუშავდება გამჭვირვალე და სამართლიანი სარგებლის განაწილების მექანიზმები და საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM),² რაც გააუმჯობესებს სექტორში გამჭვირვალობას</p>	5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა

² შენიშვნა: GCF-ის პროექტის 3.2 აქტივობა მოიცავს ღონისძიებებს საჩივრების განხილვის მექანიზმების მხარდასაჭერად საქართველოში. ეს მექანიზმები არ უნდა აგვიროს საჩივრების მართვის პროცედურასთან, რომელიც შედის GCF-ის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმაში (ESMP). ESMP-ში აღწერილი საჩივრების მართვის პროცედურა განკუთვნილია კონკრეტულად პროექტისთვის, GCF-ის პროექტთან დაკავშირებული საჩივრების წარსადგენად GIZ-ში, როგორც კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) აკრედიტებულ სუბიექტში, რომელიც პასუხისმგებელია პროექტის განხორციელებაზე. ამრიგად, ის ქმედითი იქნება პროექტის განხორციელების პერიოდში (2021-2028წწ.). GCF-ის პროექტის მე-3



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
		რისკის მჭიდრო მონიტორინგი და შერბილება.		და ანგარიშვალდებულებას. აქტივობები 3.3 და 3.4 ხელს შეუწყობს ადგილობრივ ტყითმოსარგებლებს გადავიდნენ შემოსავლის მიღების ალტერნატიულ აქტივობებზე.	
			29.2	თუშეთის დაცული ლანდშაფტი (TPL) მუნიციპალური ტყის მართვის ერთი მაგალითია, რომელსაც პროექტი სავარაუდოდ მხარდაჭერას გაუწევს ადგილზე ინტერვენციით. რადგან TPL დაცული ლანდშაფტია, მასზე ტყის ერთობლივი ზედამხედველობა ხორციელდება DES-თან ერთად. DES-ი ერთ-ერთი მთავარი ბენეფიციარია ECO.Georgia-ს ფარგლებში 1-ლი კომპონენტის 1.2 აქტივობისთვის, რომელიც გააძლიერებს DES-ის შესაძლებლობებს ტყის ზედამხედველობაში, აღსრულებასა და მონიტორინგში. ყველა შემთხვევაში, ტყეებში განხორციელებული ნებისმიერი აქტივობისთვის გამოყენებული იქნება ESHS-MS-ის და სწრაფი გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის პროცედურები.	5.1 ESHS-MS 5.4 სწრაფი გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი

კომპონენტის ფარგლებში განხილული საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM) მიზნად ისახავს შექმნას სექტორისთვის სპეციფიკური მექანიზმი, რომელიც შენარჩუნდება საქართველოში პროექტის დასრულების შემდეგ და სადაც საქართველოს მთავრობა იქნება პასუხისმგებელი სექტორში არსებული საჩივრების ზედამხედველობაზე, მართვასა და მოხსენებაზე. ინტერვენციები ფოკუსირებული იქნება მექანიზმებზე საპროექტო რეგიონში, მაგრამ ასევე განიხილება ეროვნული მექანიზმების განვითარების პოტენციალი, ან მექანიზმები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას საქართველოს სხვა ნაწილებში.



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
3.2 შემუშავებული, ხელშეწყობილი და გამოცდილია ადგილობრივი დონის მექანიზმები უარყოფით ზემოქმედებას დაქვემდებარებული დაინტერესებული მხარეების ინტერესების უკეთესად დასაცვად	30	ტყის რეფორმამ შეიძლება განსაკუთრებით უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ადგილობრივ ტყითმოსარგებლებზე, რომელთაგან ბევრი არაფორმალურად იყო დასაქმებული სექტორში, საარსებო წყაროს სახით დამოკიდებული იყო საწვავი ხე-ტყის უკანონო მოპოვებაზე (მაგ. ტყის მართვის წინა სქემით, ნაწილობრივ უკანონო შუამავლები აწვდიდნენ შეშას მოსახლეობას). გარდა ამისა, გაძლიერებულმა ტყის ზედამხედველობამ და კანონდარღველებამ, საწვავი ხე-ტყის ფასთან ერთად, შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ მოსახლეობაზე. ახალი ტყის კოდექსით დაარსებული „საქმიანი ეზოები“, სადაც შესაძლებელი იქნება საწვავი ხე-ტყისა და მერქნის გაცემა, შეიძლება თანაბრად არ იყოს ხელმისაწვდომი ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ფასები შეიძლება დამატებით ტვირთად დააწვეს ღარიბ, ან განსაკუთრებით დაუცველ ოჯახებს.	30.1	იგივე, რაც შერბილება ID #28.1 და #28.2	5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა 5.6 ტყის მდგრადი მართვის გეგმების მონაწილეობითი შემუშავება 5.7 დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა და საჩივრების განხილვის პროცედურა გენდერული სამოქმედო გეგმა (ცალკე დოკუმენტი)
			30.2	კომპონენტი 3 და მისი აქტივობები შემუშავებულია ამ რისკის შემცირებისთვის, საარსებო საშუალებების გაძლიერებით და ტყის რეფორმასთან დაკავშირებული სოციალური რისკების შერბილებითა და მართვით, და ამავდროულად, უარყოფით ზემოქმედებას დაქვემდებარებული დაინტერესებული მხარეების ინტერესებისა და უფლებების უკეთ დაცვით.	5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა 5.6 ტყის მდგრადი მართვის გეგმების მონაწილეობითი შემუშავება



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
				კერძოდ, მოხდება მუნიციპალური ტყის მდგრადი მართვისთვის ხელშემწყობი პირობებისა და ჩარჩოების მხარდაჭერა. აქტივობა 3.1-ის ფარგლებში, ანალიზებში გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი თემებისთვის საწვავი ხე-ტყის მიწოდების შედეგები, მათ შორის ფასების, ხელმისაწვდომობის და სოციალური თანასწორობის თვალსაზრისით. გარდა ამისა, აქტივობა 3.2-ის ფარგლებში შემუშავდება საჩივრების წარდგენის მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს სარგებლის თანაბარ განაწილებას და კონფლიქტების მოგვარებას, რადგან საწვავი ხე-ტყის ახალ მექანიზმზე გადასვლას შესაძლოა თან ახლდეს არასასურველი სოციალური და გარემოსდაცვითი შედეგები (აქტივობა 3.2). აქტივობები 3.3 და 3.4 კიდევ უფრო გააძლიერებს ტრენინგს და ცოდნას და განავითარებს ტყესთან დაკავშირებულ მდგრად ღირებულებით ჯაჭვებს, რათა უზრუნველყოს დამატებითი შესაძლებლობები საარსებო საშუალებების გასაძლიერებლად ტყეზე დამოკიდებული იმ თემებისთვის, რომლებსაც ყველაზე მეტად შეეხება ტყის რეფორმა.	5.7 დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა და საჩივრების განხილვის პროცედურა
			30.3	GCF-ის პროექტის კომპონენტი 1 ხელს შეუწყობს გადასვლას საწვავი ხე-ტყის მიწოდების ჯაჭვებზე. ის ასევე შექმნის მნიშვნელოვან სამუშაო ადგილებს სატყეო სპეციალისტის პოზიციაზე, რომლისთვისაც ტრენინგი და განათლება მხარდაჭერილია 1-ლი კომპონენტის	5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა 5.6 ტყის მდგრადი მართვის გეგმების



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
				ფარგლებში (გადამზადების და პროფესიული სწავლების ტრენინგების ჩათვლით). კომპონენტები 1 და 3 ასევე უზრუნველყოფს ადგილობრივი თემების უფრო აქტიურ მონაწილეობას ტყის მართვის დაგეგმვაში, რაც გაზრდის გამჭვირვალობას. კომპონენტი 2 ორიენტირებული იქნება ენერგოეფექტური ღუმელების დანერგვაზე, ხე-ტყის უფრო ეფექტური მოხმარების ხელშესაწყობად, რაც დაეხმარება ადგილობრივ ტყითმოსარგებლებზე ზემოქმედების შემცირებას.	მონაწილეობითი შემუშავება 5.7 დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა და საჩივრების განხილვის პროცედურა
	31	პროექტი განხორციელდება რთული (წინასწარ არსებული) სიტუაციის კონტექსტში, სადაც არსებობს განსხვავებული ინტერესები და ძალაუფლებითი ურთიერთქმედებები, ადგილი აქვს კომპრომისებს და შეიძლება წარმოიშვას პოტენციური კონფლიქტები. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალებისა და დაუცველი ოჯახების ზოგადად დაბალი წარმომადგენლობის გამო, არსებობს რისკი, რომ ეს ჯგუფები მონაწილეობას ვერ მიიღებენ შესაბამის მექანიზმებში,	31.1	იგივე რაც შერბილება ID #28.1 და #28.2	5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა 5.6 ტყის მდგრადი მართვის გეგმების მონაწილეობითი შემუშავება 5.7 დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა და საჩივრების განხილვის პროცედურა



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ლონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
		რამაც შეიძლება გამოიწვიოს სარგებლის არათანაბარი გაზიარება და ელიტის ხელში ჩაგდება.			გენდერული სამოქმედო გეგმა (ცალკე დოკუმენტი)
			31.2	გარდა ამისა, აქტივობა 3.2-ის დიზაინი ხელს უწყობს მოქნილ მიდგომებს, რადგან გასაგებია, რომ ერთიანი მიდგომა არ იმუშავებს. მოქნილი მიდგომების ხელშეწყობით, რომლებიც შეიძლება მორგებული იყოს ადგილობრივ კონტექსტზე, შესაძლებლობების და უნარების მიზნობრივ განვითარებასთან ერთად, მას შეუძლია ადგილობრივ მექანიზმებზე, მოქნილ მიდგომებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა. ამ აქტივობის ფარგლებში პოტენციურ საგარანტიო მექანიზმში გათვალისწინებული იქნება ისეთ ასპექტები, როგორცაა მამაკაცებისა და ქალების განსხვავებული დროითი გრაფიკები, მობილურობა, განათლების დონე, კულტურული ბარიერები, ან იერარქია. ამ მექანიზმების	5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა 5.7 დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა და საჩივრების განხილვის პროცედურა (დაფინანსების შეთავაზების დანართი 7)



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
				დაგეგმვისთვის შემდგომში გამოყენებული იქნება ასევე მრავალმხრივი კონსულტაციები.	
	32	არსებობს რისკი, რომ ერთობლივი მართვის აქტივობები არ განხორციელდება მდგრადად.	32.1	დეტალური დაგეგმვა (ტყის მართვის გეგმებთან დაკავშირებული) განხორციელდება 1 და 3 კომპონენტების მეშვეობით და უზრუნველყოფილი იქნება დამატებითი მხარდაჭერა, როგორც სახელმწიფო მოხელეების, ასევე ადგილობრივი ტყითმოსარგებლების შესაძლებლობების გასაძლიერებლად აღნიშნული რისკის შემცირებისთვის, ამ ერთობლივი მართვის ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების დროს. პროექტის კომპონენტი 1 კიდევ დამატებით გააძლიერებს შესაძლებლობებს მონიტორინგისა და აღსრულების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს გარემოზე პოტენციური არასასურველი ზემოქმედების ეფექტურ იდენტიფიცირებას და შერბილებას, ან მართვას.	არსებობს რისკი, რომ ერთობლივი მართვის აქტივობები არ განხორციელდება მდგრადად.
			32.2	იგივე რაც შერბილება ID #28.4	5.1 ESHS-MS 5.4 სწრაფი გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი
3.3 ტყის მდგრად მართვასთან და კონსერვაციასთან დაკავშირებული პროფესიული	33	არსებობს რისკი იმისა, რომ შემუშავებულ პროფესიული განათლებისა და ტრენინგის პროგრამებში საკმარისად არ იქნება გათვალისწინებული გენდერული და	33.1	ამ რისკის შესამცირებლად, სასწავლო გეგმები და პროგრამები დაიგეგმება გენდერული პასუხისმგებლობით (მაგ. ტრენინგის საჭიროებების გენდერულად დიფერენცირებული შეფასება, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების	5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა 5.7 დაინტერესებული მხარეების



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
უნარები და ცოდნა ხელმისაწვდომია პროფესიული განათლების, და ცოდნის ცენტრებთან საერთაშორისო პარტნიორობის მეშვეობით.		სოციალური ჩართულობის ასპექტები (მაგ. სასწავლო გეგმა არ არის გენდერულად მგრძობიარე, მასწავლებლები არ არიან გადამზადებული გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის საკითხებში, ტრენინგების ჩატარების დრო არახელსაყრელია).		ჩატარებით ქალ ტყითმოსარგებლებთან და ქალთა ორგანიზაციებთან, კურსის შემუშავების დაწყებამდე და შემუშავების პროცესში, გენდერული ექსპერტების დაქირავება სასწავლო გეგმების შემუშავებაში (მონაწილეობისთვის). ამ რისკის დასაძლევად კომპონენტი 3-ის ფარგლებში შემუშავდა შესაბამისი საპროექტო აქტივობები. გარდა ამისა, გენდერული სამოქმედო გეგმა მოიცავს შესაბამის დებულებებს.	ჩართულობის გეგმა და საჩივრების განხილვის პროცედურა გენდერული სამოქმედო გეგმა (ცალკე დოკუმენტი)
	34	ტყესთან დაკავშირებულ პროფესიული განათლების პროგრამებში ქალების მონაწილეობის დონე ძალიან დაბალია და ქალები ნაკლებად არიან ინტეგრირებული ფორმალურ სატყეო სექტორში. არსებობს რისკი, რომ არათანაბარი განაწილება იქნება ადგილობრივ მამაკაცებს, ქალებსა და დაუცველ ოჯახებს შორის და, რომ ქალები თანაბრად ვერ ისარგებლებენ პროექტის მიერ შეთავაზებული უნარების განვითარების, განათლებისა და ტრენინგის შესაძლებლობებით.	34.1	უნდა მოხდეს ამ აქტივობის რეგულარული მონიტორინგი, რათა განისაზღვროს პროგრამების გაძლიერების შესაძლებლობები, და გათვალისწინებული იყოს ადგილობრივი ტყითმოსარგებლების და ტყესთან დაკავშირებული ღირებულებითი ჯაჭვების სხვადასხვა საჭიროებები და კონტექსტი. შემდგომი შემარბილებელი ღონისძიება უზრუნველყოფს, რომ ქალებმა შეძლონ მონაწილეობის მიღება შეთავაზებულ კურსებში და სარგებელი მიიღონ ტყის მდგრადი მართვიდან და ტყესთან დაკავშირებული ღირებულებითი ჯაჭვებიდან. ამ რისკის დასაძლევად შემუშავებულია შესაბამისი საპროექტო აქტივობები. გარდა ამისა, გენდერული სამოქმედო გეგმა მოიცავს დამატებით მადასტურებელ და საგარანტიო დებულებებს.	გენდერული სამოქმედო გეგმა (ცალკე დოკუმენტი)



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
	35	საველე ვიზიტებთან დაკავშირებული მცირე ზემოქმედება გარემოზე (მაგ. სტუდენტების, ან მკვლევართა მხრიდან), როგორცაა დანაგვიანება, ბიომრავალფეროვნების გათელვა, ან სხვა მცირე ადგილსპეციფიკური ზემოქმედება.	35.1	შერბილების ღონისძიების სახით, საველე ვიზიტებისას საჭირო იქნება გარკვეული სტანდარტების დაცვა (მაგ. ნარჩენების სათანადოდ განთავსება). ეს სტანდარტები ინტეგრირებული იქნება პროფესიულ ტრენინგში აქტივობა 3.3-ის ფარგლებში. თუ ვიზიტი განსაკუთრებით მგრძობიარე ზონაში იგეგმება, შეიძლება ჩატარდეს სწრაფი გარემოსდაცვითი და სოციალურისკრინინგი.	5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა 5.4 სწრაფი გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი
3.4 გაძლიერებულია შერჩეული ღირებულებითი ჯაჭვები, მაგ. ხე-ტყის ღირებულებითი ჯაჭვი, ტყის არამერქნული პროდუქტების ღირებულებითი ჯაჭვი, ან ეკოტურიზმის ღირებულებითი ჯაჭვის ნაწილები.	36	ყველა ღირებულებითი ჯაჭვისთვის, არსებობს რისკი, რომ ქალები და სოციალურად დაუცველი ოჯახები ვერ მიიღებენ მონაწილეობას შესაძლებლობების განვითარების, ტრენინგისა და მარკეტინგის აქტივობებში.	36.1	იგივე რაც შერბილება ID #28.1 გარდა ამისა, საჩივრების განხილვის მექანიზმი და აქტივობა 3.2-ის საგარანტიო მექანიზმები დამატებით შეუწყობს ხელს ადგილობრივი კონფლიქტების გადაწყვეტას, დაკავშირებას და გაუმჯობესებულ კომუნიკაციას	5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა გენდერული სამოქმედო გეგმა (ცალკე დოკუმენტი)
			36.2	იგივე რაც შერბილება ID #28.2 მიზნობრივი მხარდაჭერა იქნება უზრუნველყოფილი ქალებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, ზოგიერთი პოტენციური დამატებითი გამოწვევის გადალახვაში დასახმარებლად (მაგ. დროის სიმწირე, შეზღუდული ფორმალური კონტროლი მიწაზე, ან რესურსებზე, რამაც შეიძლება დაბრკოლება შექმნას კრედიტზე ხელმისაწვდომობისთვის). დამატებითი	5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა გენდერული სამოქმედო გეგმა (ცალკე დოკუმენტი)



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
				ღონისძიებები განისაზღვრა შესაბამისი ღირებულებითი ჯაჭვების ფარგლებში, აქტივობა 3.4-ში და GAP-ში.	
			36.3	იგივე რაც შერბილება ID #28.4	5.7 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა და საჩივრების განხილვის მექანიზმი
	37	ტყის არამერქნული პროდუქტების მზარდი გამოყენება შეიცავს ჭარბი მოპოვების და არამდგრადი შეროვების, ან დამუშავების რისკს, რაც იწვევს გარემოს დეგრადაციას და ბიომრავალფეროვნების პოტენციურ კარგვას.	37.1	<p>აქტივობა 3.3-ის ფარგლებში განხორციელდება პრაქტიკული კვლევა ტყის არამერქნული პროდუქტების ინვენტარიზაციასა და მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, და გადაიხედება კურიკულუმები და ტრენინგის პროგრამები ტყის არამერქნული პროდუქტების მდგრად შეროვებაზე, საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით, რაც ხელს შეუწყობს ამ რისკის შერბილებას და მართვას.</p> <p>გარდა ამისა, კომპონენტი 1-ისა და აქტივობა 3.1-ის ფარგლებში, გაძლიერდება ტყის ზედამხედველობა და მონიტორინგი.</p>	<p>5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა</p> <p>5.6 ტყის მდგრადი მართვის გეგმების მონაწილეობით შემუშავება</p>
			37.2	<p>ტყის მდგრადი მართვის გეგმების მონაწილეობით შემუშავებაში, გათვალისწინებული იქნება ტყესთან დაკავშირებული ღირებულებითი ჯაჭვების შესაძლებლობები (მათ შორის ტყის არამერქნული პროდუქტები, ხე-ტყე/მერქანი, და ეკოტურიზმი).</p>	<p>5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა</p> <p>5.6 ტყის მდგრადი მართვის გეგმების მონაწილეობით შემუშავება</p>



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
			37.3	იგივე რაც შერბილება ID #29.1	5.1 ESHS-MS 5.4 სწრაფი გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი
			37.4	გარდა ამისა, აქტივობა 3.4 მოიცავს მდგრადი შერბილების ხელშემწყობი სერტიფიკატების (მაგ., Fair Wild, Organic Wild Collection) ხელახალი დანერგვის განხორციელებადობის შეფასებას და, თუ შედეგები პოზიტიური იქნება, შემდგომი ნაბიჯები გადაიდგმება პროექტის ბენეფიციართა ხელშესაწყობად, შერჩეული სერტიფიკატების მოთხოვნების დაკმაყოფილებაში. სერტიფიკატების ამ სისტემებით შესაძლებელია ტყის არამერქნული პროდუქტების მდგრადი შერბილების დამატებით გაძლიერება და მონიტორინგი.	5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა
	38	ტყის არამერქნული პროდუქტების ღირებულებითი ჯაჭვების ხელშეწყობა შეიცავს რისკს, რომ ის სარგებელს მოუტანს უფრო მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე მამაკაცებს და/ან ოჯახებს, რადგან ისინი უკეთ არიან წარმოდგენილნი	38.1	შერბილების ღონისძიების სახით, რეკომენდირებულია, რომ მხარდაჭერილი ღირებულებითი ჯაჭვების მინიმუმ 30%-ს ჰქონდეს გენდერულ და სოციალური ჩართულობასთან დაკავშირებული მაღალი სარგებელი. პროექტი ასევე უნდა მოიცავდეს ღონისძიებებს ქალი მეწარმეებისა და ქალების მიერ წარმართული მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად.	5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა გენდერული სამოქმედო გეგმა (ცალკე დოკუმენტი)



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
		გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებსა და ბიზნეს გარემოში (სარგებლის ელიტური მიტაცება). ამდენად, ტყის არამერქნული პროდუქტების გარკვეულ ღირებულებით ჯაჭვებს შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა სხვებთან შედარებით, გენდერული ასპექტების, სოციალური დისკრიმინაციის, ან ელიტური მიტაცების გათვალისწინებით. საჭიროა ბაზრის გენდერულად მგრძობიარე და ინკლუზიური შესწავლა		გენდერული სამოქმედო გეგმა მოიცავს შესაბამის მხარდამჭერ და საგარანტიო ღონისძიებებს.	
			38.2	აქტივობა 3.4 მოიცავს ტყის არამერქნული პროდუქტების ბაზრის გენდერულად მგრძობიარე და ინკლუზიური კვლევის შემუშავებას და პროექტის ფარგლებში ტყის არამერქნული პროდუქტების სხვადასხვა ღირებულებითი ჯაჭვების მხარდაჭერას, მათ შორის, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფებისთვის მაღალი სარგებლის შემცველი ღირებულებითი ჯაჭვების.	5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა გენდერული სამოქმედო გეგმა (ცალკე დოკუმენტი)
	39	არსებობს „მამაკაცების მიერ მიტაცების“ რისკი, ე.ი. ქალებისთვის მიცემული სარგებლობის უფლებები შესაძლოა უკან იქნას გამორთმეული, ან ბიზნესები შეიძლება ქმრებმა ჩაიგდონ ხელში.	39.1	პროექტი მიზნად ისახავს გააძლიეროს და მონიტორინგს გაუწიოს ქალთა გრძელვადიან ჩართულობას შესაბამის აქტივობებში, მაგალითად, გრძელვადიანი იჯარით, ან ქალთა ინტერესთა ჯგუფების, კოოპერატივების ჩამოყალიბებით და ქალების მფლობელობაში, ან ხელმძღვანელობაში არსებული მცირე და საშუალო საწარმოების აქტიური მხარდაჭერით. გენდერული სამოქმედო გეგმა მოიცავს ინდიკატორებს, რომლებიც ხელს უწყობს ქალთა წარმომადგენლობის მონიტორინგს და პროექტში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფას.	5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა გენდერული სამოქმედო გეგმა (ცალკე დოკუმენტი)
	40	ტურიზმი დაკავშირებულია დაბინძურების გაზრდის რისკთან, როგორცაა დანაგვიანება, ბიომრავალფეროვნების გათელვა, ან სხვა	40.1	აქტივობა 3.4-ის ფარგლებში ეკოტურიზმის ხელშემწყობი აქტივობები შემუშავებული უნდა იყოს მდგრადობის მაღალი სტანდარტებით და ადგილობრივი დასახლებებისა და ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობაზე	5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
		ადგილსპეციფიკური ზემოქმედება ვიზიტორთა მაღალი რაოდენობის, ან გადაჭარბებული განვითარების გამო. მაგალითად, თუშეთში ტურიზმის ზრდამ გამოიწვია ნარჩენებისა და კანალიზაციის სერიოზული პრობლემა, ეროვნულ პარკებში ტურიზმი გავლენას ახდენს ცხოველთა სახეობების ქცევაზე.		ორიენტირებით. ეკოტურიზმის განვითარების აქტივობები მოიცავს NFA-სა და მუნიციპალური მიწების ტურისტული პოტენციალის შეფასებას (მათ შორის, ასევე პოტენციური სენსიტიური გარემოსდაცვითი ტერიტორიების და უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებისა და რისკების შეფასებას). ამ შეფასებისთვის გამოყენებული იქნება დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებიდან მიღებული ინფორმაცია. ამას დაემატება ცნობიერების ამაღლების აქტივობები ტურიზმის პოტენციურ ნეგატიურ შედეგებზე და დაბინძურების პრევენციის აქტივობების ხელშეწყობა. გარდა ამისა, აქტივობა 3.3-ის ფარგლებში მხარდაჭერილი ტრენინგი და განათლება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ეკოტურიზმის, მდგრადობისა და სოციალური და გარემოსდაცვითი გარანტიების საუკეთესო პრაქტიკას.	5.7 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა და საჩივრების განხილვის მექანიზმი
				აქტივობა 3.2-ში შემუშავებული სარგებლის გაზიარებისა და ურთიერთობის გაუმჯობესებული მექანიზმები და 1 და 3 კომპონენტებში მონაწილეობითი პროცესების გაძლიერება კიდევ უფრო გააუმჯობესებს კომუნიკაციას და თანამშრომლობას ადგილობრივ თემებსა და ტყის მართვის ორგანოებს შორის, რაც ხელს შეუწყობს ადრეულ გამოვლენას და ტყის სარგებლობის წესების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებას.	5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა 5.7 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა და საჩივრების განხილვის მექანიზმი



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
			40.3	იგივე რაც შერბილება ID #29.1	5.1 ESHS-MS 5.4 სწრაფი გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი
	41	NFA-ს დათმობის მექანიზმი ამჟამად საკმარისად არ ითვალისწინებს სოციალური ჩაურთველობისა და არასწორად რეგულირებული ტურიზმის გამო გარემოს დაბინძურების ზემოხსენებულ რისკებს.	41.1	პროექტი მოიცავს ეკოტურიზმისთვის ორმხრივად მომგებიანი შეთანხმებების ყველაზე შესაფერისი პირობებისა და მოთხოვნების ანალიზს (აქტივობა 3.4), რომელიც ითვალისწინებს სოციალურ და გარემოსდაცვით რისკებსა და ზემოქმედებას. გარდა ამისა, აქტივობა 3.4-ის ფარგლებში ეკოტურიზმის ღონისძიებების შემუშავება მოხდება მონაწილეობითი და ინკლუზიური პროცესებით.	5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა 5.7 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა და საჩივრების განხილვის მექანიზმი
			41.2	საქართველოს ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემის (FIMS) გაუმჯობესება და ტყის ზედამხედველობისა და აღსრულების შესაძლებლობების განვითარება (კომპონენტი 1) კიდევ უფრო შეამცირებს ამ რისკს მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების გზით.	ინტეგრირებულია პროექტის დიზაინში (კომპონენტი 1)



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
	42	ეკოტურიზმის ხელშემწყობი აქტივობები შეიცავს მოწყვლადი ჯგუფების (მაგ. ქალები, ღარიბი ან შორეული ოჯახები) ჩართულობის ნაკლებობის რისკს, თუმცა, რისკი მცირე ხარისხისაა, რადგან ეკოტურიზმი აღიქმება, როგორც სექტორი, სადაც ხელსაყრელი პირობებია ქალი მეწარმეებისთვის, რადგან მაღალია ქალთა აღქმული როლი სტუმართმასპინძლობის სექტორში.	42.1	იგივე რაც შერბილება ID #28.1 გარდა ამისა, საჩივრების განხილვის მექანიზმი და აქტივობა 3.2-ის საგარანტიო მექანიზმები დამატებით შეუწყობს ხელს ადგილობრივი კონფლიქტების მოგვარებას, სარგებლის გაზიარებას და კომუნიკაციის გაუმჯობესებას.	5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა 5.4 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა და საჩივრების განხილვის მექანიზმი გენდერული სამოქმედო გეგმა (ცალკე დოკუმენტი)
			42,2	იგივე რაც შერბილება ID #28.2 მიზნობრივი მხარდაჭერა იქნება უზრუნველყოფილი ქალებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, ზოგიერთი პოტენციური დამატებითი გამოწვევის გადალახვაში დასახმარებლად (მაგ. დროის სიმწირე, შეზღუდული ფორმალური კონტროლი მიწაზე, ან რესურსებზე, რამაც შეიძლება დაბრკოლება შექმნას კრედიტზე ხელმისაწვდომობისთვის). დამატებითი ღონისძიებები განისაზღვრა შესაბამისი ღირებულებითი ჯაჭვების ფარგლებში, აქტივობა 3.4-ში და GAP-ში.	5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა გენდერული სამოქმედო გეგმა (ცალკე დოკუმენტი)
			41.3	იგივე რაც შერბილება ID #28.4	5.7 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა




აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
					და საჩივრების განხილვის მექანიზმი
	43	კიდევ ერთი სოციალური რისკია ის, რომ ეკოტურიზმიდან მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის ადამიანები ან ბიზნესები მიიღებენ სარგებელს, სხვები კი მიღმა დარჩებიან. ყველაზე ცუდ შემთხვევაში, შეიძლება ადგილი ჰქონდეს შურს და ზოგჯერ წარმატებული ბიზნეს მოდელებისა და კომპანიების საბოტაჟსაც კი.	43.1	ამ რისკის შესარბილებლად საჭიროა უზრუნველყოფილი იყოს ეკოტურიზმის აქტივობებიდან მიღებული სარგებლის თანაბარი გაზიარება. ამ რისკის შემცირების ვარიანტი შეიძლება იყოს საზოგადოებრივი ფონდები, სადაც მოგების გარკვეული პროცენტი გადაიხდება, და ეს შესწავლილი უნდა იქნას აქტივობა 3.4-ის ფარგლებში. აქტივობა 3.2-ით გათვალისწინებული მხარდაჭერა, რომელიც ფოკუსირებულია მონაწილეობისა და კომუნიკაციის მექანიზმების გაუმჯობესებაზე, სარგებლის გაზიარებასა და კონფლიქტების მოგვარებაზე, ასევე ხელს შეუწყობს ამ რისკის შერბილებას (იხ. აგრეთვე ID#28.4).	5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა 5.4 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა და საჩივრების განხილვის მექანიზმი
	44	სახერხი საამქროების და სატყეო მომსახურების მიმწოდებლების გაძლიერებასთან დაკავშირებული ქვეაქტივობები შეიცავს ხე-ტყის არამდგრადი მოპოვების პრაქტიკისა და უკანონო ჭრის რისკებს).	44.1	რისკის შერბილება შეტანილია პროექტის კომპონენტ 1-ში (მაგ., ტყის მდგრადი მართვის დაგეგმვა და განხორციელება, საქმიანი ეზოების დაარსება, ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება და DES-ის შესაძლებლობების გაძლიერება).	5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა
			44.2	პროექტის განხორციელებისას დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ასევე უზრუნველყოფს მონაწილე დაინტერესებული მხარეებს ინფორმირებულობას პროექტის მიზნების შესახებ	5.7 დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიების ID#	შემარბილებელი ღონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
					და საჩივრების განხილვის პროცედურა
	45	იმ ქვეაქტივობებთან დაკავშირებით, რომლებიც მიზნად ისახავს ხე-ტყის მეორადი გადამუშავების სექტორის გაძლიერებას, რადგან ხე-ტყის გადამუშავების სექტორი დიდწილად არაფორმალურია, არსებობს კონფლიქტების გაზრდის რისკი ადგილობრივ ბიზნესებთან, რომლებსაც არ სურთ თავიანთი საქმიანობის ფორმალიზება და სამართლებრივი და მარეგულირებელი ნორმების დაცვა.	5.1	თუ პროექტის დაინტერესებულ მხარეებს მაინც ექნებათ პრეტენზია, ან საჩივარი პროექტის წინააღმდეგ, მათ შეეძლება მისი შეტანა პროექტის საჩივრების პროცესის მეშვეობით (5.6).	5.7 დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა და საჩივრების განხილვის პროცედურა
			45.2	ქვეყნის სატყეო რეფორმის შესახებ ცნობიერების ამაღლება GCF-ის პროექტის ყველა მიმართულების შემადგენელი ნაწილი იქნება. აქტივობა 3.4-ის ქმედებები არა მხოლოდ სექტორის გაძლიერების საუკეთესო პრაქტიკასა და ღონისძიებებს ეხება, არამედ ასევე მნიშვნელოვანი პლატფორმა იქნება სექტორის რეფორმის, საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოსა და ამ ჩარჩოს შეუსრულებლობის შედეგების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებისთვის. კომპონენტი 1-ის ფარგლებში განხორციელებული ინვესტიციები გააუმჯობესებს მონიტორინგისა და აღსრულების შესაძლებლობებს უკანონო ჭრების მონიტორინგის, აღმოჩენისა და შემცირების მიზნით. გარდა ამისა, აქტივობა 3.2-ის ფარგლებში შემუშავებული მექანიზმები და საჩივრების განხილვის	5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა



აქტივობა	ზემოქმედება ID #	პოტენციური მავნე ზემოქმედება	შემარბილებელი დონისძიების ID#	შემარბილებელი დონისძიება	ინფორმაცია მოცემულია ESMP-ში
				მექანიზმი ასევე ხელს შეუწყობს კომუნიკაციისა და კოორდინაციის გაუმჯობესებას, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შერბილებას და უზრუნველყოფს დავების გადაწყვეტის პროცედურებს კონფლიქტების წარმოშობის შემთხვევაში.	
			45.3	პროექტის განხორციელებისას დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ასევე უზრუნველყოფს მონაწილე დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობას პროექტის მიზნების შესახებ. დაზარალებული პირებისთვის ხელმისაწვდომი იქნება პროექტის დონის საჩივრების განხილვის მექანიზმი.	5.7 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა და საჩივრების განხილვის მექანიზმი

<p>გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა</p>	<p>ნაწილი 2: ESMP</p>	
--	-----------------------	---

3. მართვის ზოგადი სტრუქტურა და პასუხისმგებლობები

პროექტს ეყოლება ხუთი აღმასრულებელი ერთეული, რომელიც ინდივიდუალურად იქნება პასუხისმგებელი თითოეულ აქტივობაზე:

- ეროვნული სატყეო სააგენტო (NFA)
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (DES)
- გარემოსდაცვითი საინფორმაციო და განათლების ცენტრი (EIEC)
- სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო (RDA)³
- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)


პროექტი შექმნის **მმართველ კომიტეტს**. კომიტეტი შეიკრიბება წელიწადში ორჯერ და მისი წევრები იქნებიან დეპარტამენტების ხელმძღვანელები/დირექტორები შემდეგი უწყებებიდან: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ეროვნული სატყეო სააგენტო, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, სოფლის განვითარების სააგენტო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, გარემოსდაცვითი საინფორმაციო და განათლების ცენტრი, ეროვნული დანიშნული ორგანო (NDA), რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, არასამთავრობო ორგანიზაციები და GIZ. მმართველი კომიტეტის მანდატი შემდეგია:

- პროექტის ზოგადი გაძლოლა;
- ყოველწლიური სამუშაო გეგმების, ანგარიშების და აუდიტის შესახებ უკუკავშირისა და რეცენზიის მომზადება;
- პროექტის ქმედითობისა და თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა საერთაშორისო და ეროვნული კონტექსტის განვითარებასთან მიმართებაში;
- ინფორმირებულობა პროექტის ენერგო და სოციალური დაცვის პრინციპებთან და გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის მიზნებთან თანხვედრის შესახებ.
- სამინისტროს სხვადასხვა განშტოებას, კერძო და საჯარო სექტორს და სამოქალაქო საზოგადოებას შორის პროექტის აქტივობების კოორდინაციის მხარდაჭერა.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული, განთავსებული სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის ფარგლებში, იფუნქციონირებს მთლიანად პროექტის განმავლობაში. განმახორციელებელი ერთეულის სტრუქტურა წარმოდგენილია სურ.3.1-ში. განმახორციელებელი ერთეულის მანდატი შემდეგია:

- აღმასრულებელ ერთეულებს შორის გააძლიეროს ერთიანი გაგება ცვლილებების

³ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს (APMA) ოფიციალური სახელწოდება 2019 წლის ივლისში შეიცვალა და გახდა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სააგენტო (ARDA). 2020 წელს სააგენტოს სახელი კიდევ შეიცვალა და გახდა სოფლის განვითარების სააგენტო (RDA).


<p>გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა</p>	<p>ნაწილი 2: ESMP</p>	
--	-----------------------	---

თეორიის შესახებ და იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს ტრანსფორმაციის პროცესი ორივე სექტორში.

- იმსჯელოს, გააკონტროლოს და ხელი შეუწყოს განმახორციელებელ ერთეულებს შორის განხორციელების მაქსიმალურ თანხვედრა.
- განსაზღვროს სამუშაო გეგმები და მონიტორინგი და კოორდინაცია გაუწიოს მათ.
- დარწმუნდეს, რომ ბიუჯეტი და სამუშაო გეგმები მიმდინარეობს გეგმისამებრ და უზრუნველყოს პროექტის პროგრესის მონიტორინგი.
- დაადგინოს და გადაჭრას პროექტის დონისთვის რელევანტური პრობლემები და განხორციელების ნაწილში არსებული გამოწვევები.
- მონიტორინგი გაუწიოს გარემოსდაცვით, სოციალურ და ფიდეუციალურ გარანტიებს, მონიტორინგი გაუწიოს პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის განხორციელებას (ESMP) და გენდერული სამოქმედო გეგმას და უხელმძღვანელოს ამ გეგმების გადახედვას, საჭიროების შემთხვევაში
- გამოავლინოს ის საკითხები რომლებზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს მმართველმა კომიტეტმა და/ან პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა.
- უზრუნველყოს პროექტის მყისიერ შედეგებს შორის ინფორმაციის გაცვლა და სინერგია.
- შეთანხმდეს ტექნიკურ დავალებებზე, ექსპერტების მოწვევაზე.
- განიხილოს გრძელვადიანი შედეგისა და ზემოქმედების მონიტორინგის პროცესები და შედეგები.
- მოამზადოს მონიტორინგის შესახებ ანგარიშები.
-

GIZ პასუხისმგებელი იქნება ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე:

- უზრუნველყოს სავალდებულო ESIA შეფასების და მართვის გეგმის ან გეგმების შემუშავება, განთავსება საჯარო კონსულტაციებისთვის და მათი დამტკიცება. აგრეთვე მართვითი ღონისძიებების მიღება და მათი ინტეგრირება პროექტის განხორციელების პროცესში.
- მოამზადოს ანგარიში, პროექტის პროგრესის შესახებ შეთანხმებულ სამუშაო გეგმასთან მიმართებაში, ობიექტურად და სიზუსტის დაცვით, ანგარიშგების განრიგის და შესაბამისი ფორმატის მიხედვით.
- აწარმოოს დოკუმენტაცია და მტკიცებულებები, რომელიც აღწერს პროექტის

<p>გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა</p>	<p>ნაწილი 2: ESMP</p>	
--	-----------------------	---

რესურსების სწორ და გონივრულ გამოყენებას ხელმოწერილი საპროექტო დოკუმენტის, შესაფერისი რეგულაციებისა და პროცედურების შესაბამისად.


- უზრუნველყოს, GCF, GIZ, IFC და ეროვნული მარეგულირებელი/პოლიტიკის ჩარჩო მოთხოვნების გათვალისწინება.
- იქონიოს პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება GCF-ის წინაშე, პროექტის ზოგად მართვაზე, შესრულების ჩათვლით.
- უზრუნველყოს შესაბამისი ადამიანური და ფინანსური რესურსების გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების სამართავად.
- თვალი ადევნოს დაცვით ღონისძიებებთან დაკავშირებულ ყველა საკუთსს.
- გააკეთოს შუალედური მიმოხილვის (MTR) ინიცირება პროექტის მეოთხე წელს (ან ნებისმიერ დროს, როდესაც GIZ ან ნებისმიერი პარტნიორი ამას საჭიროდ ჩათვლის)

პროექტს ეყოლება სრულ განაკვეთზე მომუშავე **ESMP+G** სპეციალისტი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ESMP და გენდერის მართვის გეგმის განხორციელებასა და ESMP - ის განახლებაზე ყოველწლიურად ან საჭიროებისამებრ (მაგ. შესაძლოა საჭირო გახდეს ESMP მყისიერი განახლება, მონიტორინგისა და შეფასების მისიის შემდეგ ან რაიმე შემთხვევის შემდეგ). მისი დამატებითი პასუხისმგებლობები მოიცავს:

- პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის შუამავლობას;
- პასუხისმგებლობას პროექტის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასა და მათი კომუნიკაციის ზედამხედველობაზე;
- დავების მექანიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას პარტნიორებს, ადგილობრივ თემებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვებს შორის;
- პროექტსა და თემების მოსახლეობას შორის შუამავლობას.
- ზედამხედველობას (განხორციელებას, მონიტორინგსა და ანგარიშგებას) დავების გადაჭრის სისტემაზე.
- პროექტის პროგრესის მონიტორინგს, მათ შორის ESMP და GAP (გენდერული სამოქმედო გეგმა) მიღწევას და ადაპტური მართვის უზრუნველყოფას (საჭიროებისამებრ);

მას დაეხმარებიან შემდეგი კონსულტანტები:

- ეროვნული ESHS-MS კონსულტანტი - სულ 3 თვით, პროექტის განმავლობაში.
- მონიტორინგისა და შეფასების სპეციალისტი - პროექტის სრული პერიოდის განმავლობაში წელიწადში ერთხელ მონიტორინგისა და შეფასებისთვის. სპეციალისტი მოამზადებს მონიტორინგის წლიურ ანგარიშს რომელიც წარედგინება PCU-ს, მმართველ კომიტეტს და GCF-ს.
- შესძლებლობათა ზრდის კონსულტანტი (განხილულია მე-4 ნაწილში).

<p>გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა</p>	<p>ნაწილი 2: ESMP</p>	
--	-----------------------	---

- სათემო ფასილიტატორი (დაახლოებით 2 თვით პირველი სამი წლის განმავლობაში და ერთი თვით მეოთხე - მეშვიდე წლის განმავლობაში) სათემო ფასილიტატორი
- დაქირავებული იქნება პროექტის მიერ თემებისთვის. ის შეირჩევა თემის მიერ და იქნება დამოუკიდებელი მთელი პროცესის განმავლობაში.

MoEPA, ეროვნული სატყეო სააგენტოს საშუალებით, ჩართავს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ორ სპეციალისტს. ეს სპეციალისტები პასუხისმგებელი იქნებიან სამშენებლო კონტრაქტორების მუშაობის, მათ შორის ხის მჭრელებისა და შრომითი უსაფრთხოების აქტივობების ყოველკვირეული მონიტორინგის განხორციელებაზე.⁴

4. შესაძლებლობათა ზრდა

შესაძლებლობათა ზრდა უზრუნველყოფილი იქნება სამინისტროსთვის, ეროვნული სატყეო სააგენტოსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის, გარემოსდაცვითი საინფორმაციო და განათლების ცენტრისთვის, კონტრაქტორებისთვის და თემში ტყის საკითხზე მომუშავე საკომუნიკაციო პირებისთვის - როგორც ცენტრალურ ისე ადგილობრივ ოფისებში. ამის მიზანია, ინსტიტუციონალური კომპეტენციების ზრდა დიალოგისა და თანამშრომლობისთვის და გარემოსდაცვითი კომუნიკაციების მიმართულებით გაზრდილი შესაძლებლობების არსებობა სამინისტროში, რათა შეიქმნას ინკლუზიური მდგრადი განვითარება. ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ტრენინგი შემუშავდება როგორც ცოდნის მართვისა და ტრენინგების ონლაინ პლატფორმის ოფიციალური მოდულები, EIEC ბაზაზე, (იხ. ქვე-აქტივობა 1.4.3. ცოდნის და ტრენინგების ონლაინ პლატფორმა ტყის სექტორისათვის დაფინანსების შეთავაზებაში). ეს უზრუნველყოფს ტრენინგების მდგრადობასა და ინსტიტუციონალიზაციას.

- **კონფლიქტების მართვა, შუამავლობა და დავების მოგვარება (MoEPA, DES, NFA):** ეს ტრენინგი მოიცავს კონფლიქტის მართვის კულტურულად დამახასიათებელ მოდელს და მისი გადაჭრის ინსტრუმენტებს, კონფლიქტის წყაროს, კონფლიქტის გადაჭრის სტილს, ადამიანებს შორის კომუნიკაციის ენას, სხვადასხვა გამოსავლის მოძებნის გზებს, კომპრომისს და კონსენსუსის მიღწევას, გამოსავლის შეთავაზებას რთულ ადამიანებთან გასამკლავებლად და კონფლიქტის წყაროს მოსმენასა და გაგებას.

მიდგომა: პირველ წელს ჩატარდება 4 სესია -1 თბილისში და 3 შესაბამის რეგიონში და შემდეგ იგივე განმეორდება მესამე წელს. სულ ჩატარდება 8 სესია (ასევე შესაძლოა რეგიონების ტრენინგების გაერთიანება, რაც შედეგად შეამცირებს სესიების რაოდენობას.). ტრენინგების უზრუნველყოფაში ჩართული იქნება საერთაშორისო ექსპერტი.

- **თემთან კომუნიკაცია და შეთანხმებული საქმიანობა (MoEPA, DES, NFA, მუნიციპალური უწყებები):** თანამედროვე ტყის მართვაში თემთან შეთანხმებული


⁴ შიდა აუდიტის სამსახურის რეგენზიაზე დაყრდნობით ეროვნული სატყეო სააგენტო დაარსებს ახალ განყოფილებას - ინსპექტირებისა და შრომით უსაფრთხოების სამმართველოს. სამმართველოს შემადგენლობაში შევა უსაფრთხოებისა და გარემოს 2 ექსპერტი.



საქმიანობა მწმუნელოვანი კომპონენტია. მეტყვევებს, ტყის პატრულებსა და თემებს შორის ურთიერთკავშირი კი ტყეების მდგრადობის მთავარი გასაღებია. ტრენინგებზე განიხილება შემდეგი თემები: პრაქტიკული ხერხები იმის შესახებ, თუ როგორ მიიღწევა შედეგიანი და ჩართულობითი კონსულტაციები, აგრეთვე თემთან მუშაობის სირთულეების გაანალიზება, საჯარო კონსულტაციების ტექნიკები, სხვადასხვა შეხედულებების, დამოკიდებულებებისა და ქცევის გაგება, ასევე განსხვავება კომუნიკაციას, კონსულტაციებს და მონაწილეობას შორის და მათი გამოყენების ტექნიკები, ადამიანებთან კომუნიკაციის უნარები, თემთან კარგი სამუშაო ურთიერთობების ჩამოყალიბების ინსტრუმენტები და ტექნიკები და ტექნიკები თემის ეფექტური ჩართულობისთვის.

მიდგომა: პირველ წელს ჩატარდება 4 სესია - 1 თბილისში და 3 შესაბამის რეგიონში და შემდეგ იგივე განმეორდება მესამე და მეხუთე წელს (ასევე შესაძლებელია რეგიონების ტრენინგების გაერთიანება, რაც შეამცირებს სესიების რაოდენობას) სულ 12 სესია. ტრენინგის უზრუნველყოფაში ჩართული იქნება საერთაშორისო სპეციალისტი. (პროექტი გაითვალისწინებს „საერთაშორისო ასოციაცია საჯარო ჩართულობისთვის“ სერტიფიცირებულ პრაქტიკოსის გამოყენების შესაძლებლობასაც).

- **შრომითი უსაფრთხოება და ჯანმრთელობა (MoEPA, DES, NFA და კონტრაქტორები და ხის მჭრელები):** ტრენინგები ჩატარდება ESMS-MS და ყველა ჯანდაცვით და უსაფრთხოების წესზე, გეგმასა და პროცედურაზე, აგრეთვე ESMS-MS-ის ყველა გარემოსდაცვით და სოციალურ მოთხოვნაზე. ეს ტრენინგი მოწოდებული იქნება GIZ ESMP+G-ის და სატყეო სააგენტოს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ორი სპეციალისტის მიერ, პროექტის განმავლობაში.
- **გარემოსდაცვითი კომუნიკაცია (DES, NFA, გარემოსდაცვითი საინფორმაციო და განათლების ცენტრი (EIEC) და ტყესთან დაკავშირებულ საკითხებზე თემის საკომუნიკაციო პირები):** გარემოსდაცვითი კომუნიკაციის არაფორმალური განსაზღვრება არის “იმ გზების შესწავლა, რომლის მეშვეობითაც ვახდენთ გარემოს შესახებ კომუნიკაციას. ეს კომუნიკაცია კი გავლენას ახდენს გარემოსა და საკუთარი თავის შესახებ შეხედულებებზე და ამგვარად ჩვენსა და ბუნების სამყაროს ურთიერთობებზე“ (Cox 2006). მოდულები მოიცავს: სხვადასხვა აუდიტორიასთან კომუნიკაციის სტრატეგიებს, როგორ მივიღეთ „გარემოს შესახებ ცოდნისა შეხედულებების შექმნიდან ქცევის ცვლილებამდე“, სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენებით და იმის ცოდნით, თუ როდის უნდა გამოვიყენოთ ისინი. ასევე მოიცავს ვიზუალურ მასალას, სამიზნე კომუნიკაციებს, გარემოსა და მდგრადობის შესახებ კომუნიკაციის გაგებას, ფსიქოლოგიას, და შერეულ გარემოსდაცვით კომუნიკაციას, მესიჯების ჩამოყალიბებას, გარემოსდაცვით ისტორიებს, კლიმატის ცვლილების ვიზუალიზაციას, მედიასა და სოციალურ მედიას, გარემოს, დამარწმუნებლობას და სხვა. ზოგადი მიზანი ამ ტრენინგისა არის კარგი გარემოსდაცვითი პრაქტიკების ხელშეწყობა თემში სამინისტროს საკომუნიკაციო სისტემის საშუალებით.

<p>გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა</p>	<p>ნაწილი 2: ESMP</p>	
--	-----------------------	---

მიდგომა: მეორე წელს ჩატარდება 4 სესია თბილისსა და შესაბამის სამ რეგიონში და შემდეგ იგივე განმეორდება მეოთხე და მეექვსე წელს თბილისში, განსაკუთრებულად EIEC-ისთვის. ჯამში 6 სესია ჩატარდება (თუ უმჯობესი იქნება, რეგიონალური ტრენინგები შესაძლოა გაერთიანდეს ერთ რეგიონში). ტრენინგის მომზადებაში ჩართული იქნება საერთაშორისო სპეციალისტი (განიხილება საერთაშორისო გარემოსდაცვითი კომუნიკაციის ასოციაციის ტრენინგ სპეციალისტის ჩართვის შესაძლებლობაც).

- **ფლორისა და ფაუნის გზამკვლევი და ბიომრავალფეროვნება (DES, NFA, კონტრაქტორები, ხის მჭრელები და მუნიციპალური სატყეო ორგანოები / საკომუნიკაციო პირები):** ეს ტრენინგი მიმართულია ველზე მომუშავე ადამიანებისთვის და მოიცავს ფლორისა და ფაუნის დადგენისთვის საჭირო ინსტრუმენტებს კონკრეტულ მიდამოში. ეს ხელს შეუწყობს ტყის აღრიცხვებს და მშენებლობის, ჭრებისა და სატყეო გზების მოვლის დროს ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანას. ეს ტრენინგი უზრუნველყოფილი იქნება GIZ ESMP+G ექსპერტის მიერ პროექტის განმავლობაში.

შესაძლებლობათა ზრდა ასევე მოიცავს გაიდლაინების, გზამკვლევების, საუკეთესო პრაქტიკებს და პროცედურებს შემდეგ საკითხებზე: ა) მართვა, შუამავლობა და დავების გადაწყვეტა ბ) თემთან ურთიერთობა და შეთანხმებული საქმიანობა; გ) შრომითი უსაფრთხოება და ჯანმრთელობა; დ) გარემოსდაცვითი კომუნიკაცია და ე) ფაუნისა და ფლორის გზამკვლევი. ეს გაიდლაინები და სხვა დოკუმენტები მუდმივად იქნება ხელმისაწვდომი ცოდნის მართვისა და ტრენინგების პლატფორმაზე.

5. სპეციფიკური მართვის გეგმები

ეს ნაწილი წარმოადგენს მართვის გეგმებს, რომელიც საჭიროა იმ ვალდებულებების შესასრულებლად, რომელიც გაწერილია 2-1 ცხრილში.

5.1 ESHS მართვის სისტემა

<p>გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის სისტემის (ESHS-MS) შემუშავება და განხორციელება</p>
<p>მიზნები</p>
<p>გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის სისტემის ზოგადი მიზანი არის გარემოზე, თემსა და მომუშავე ადამიანებზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება, შერბილება, კომპენსაცია ან დაბალანსება - რისკების მართვის სისტემური მიდგომა. პროექტი განხორციელებს მიზანზე მორგებულ გარემოსდაცვით, სოციალურ, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პრაქტიკებს ყოველდღიურ საქმიანობასა და მიმდინარე გრძელვადიან აქტივობებში.</p>
<p>ESHS-MS ქმნის ჩარჩოს, რომელიც წარმართავს პროექტის ყველა აქტივობას, იქნება ეს ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, გარემოსდაცვითი თუ სათემო აქტივობა. ის</p>



უზრუნველყოფს მეთოდურ მიდგომას პროექტის შრომითი, ჯანრმთელობისა და უსაფრთხოების, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედებების მართვისთვის, სტრუქტურულად და არსებულ ბაზისზე დაყრდნობით. როგორც ეს IFC PS1-ის მიერაა მოთხოვნილი, ESHS-MS „არის დინამიური და უწყვეტი პროცესი, რომელიც ინიცირებულია და მხარდაჭერილია მენეჯმენტის მიერ და მოიცავს შეთხმებულ საქმიანობას კლიენტს, მომუშავე ადამიანებსა და იმ ადგილობრივ თემს შორის, რომელზეც უშუალოდ ახდენს პროექტი გავლენას, და აგრეთვე, სადაც საჭიროა, სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობასაც.

მოქმედებები

- GIZ-ის ESMP+G სპეციალისტის დანიშვნა.
- NFA -ში ჯანრმთელობისა და უსაფრთხოების 2 სპეციალისტის დანიშვნა.
- ESHS მართვის სისტემის ეროვნული კონსულტანტის დანიშვნა.
- აუცილებელი პროცედურებისა და გეგმების შემუშავება.
- თითოეულ ინდივიდუალურ პროცედურასა და გეგმაზე შესაძლებლობათა ზრდის უზრუნველყოფა.
- ESHS-MS -ის განხორციელება.

გეგმები

მართვის ამ სისტემის ფარგლებში, რისკების შესამცირებლად პროექტი განახორციელებს მინიმუმ შემდეგ პოლიტიკას, გეგმებს და/ან პროცედურებს:

- ადამიანური რესურსების პოლიტიკა: ეს პოლიტიკა შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კანონთან, ადამიანის უფლებების შესახებ უნივერსალურ დეკლარაციასთან, უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების ნებაყოფლობითობის პრინციპებთან, და საერთაშორისო შრომითი ორგანიზაციის (ILO) დეკლარაციასთან „ფუნდამენტურ პრინციპებზე, უფლებებსა და შრომაზე“.

ამასთანავე, ეს პოლიტიკა იძლევა სამართლიანი მოპყრობისა და თანაბარი შესაძლებლობების მინიჭების გარანტიას განურჩევლად პოლიტიკური მიკუთვნებულობის, ასაკის, სქესის, რასის, ეთნიკურობისა და სექსუალური ორიენტაციისა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. აგრეთვე, პროექტის სამუშაო ძალისადმი პატივისცემის გარანტიას დანებისმიერი სექსუალური შევიწროების, დისკრიმინაციის, ჩაგვრის ან ძალადობის შეუწყნარებლობას. ამავდროულად, ადამიანური რესურსების პოლიტიკაში გათვალისწინებული იქნება სპეციფიკური ზომები, თემის წევრების დასაქმებისა და თემში საქონლისა და მომსახურების შესყიდვებისთვის პრიორიტეტების მინიჭებისთვის; ამასთანავე ყველა გამოცხადებული ვაკანსია იქნება გენდერულად მგრძობიარე.

- საგანგებო სიტუაციაში რეაგირების გეგმა: საგანგებო სიტუაციაში რეაგირების გეგმა (ERP) განმარტავს იმ მიდგომას, რომელსაც პროექტი გამოიყენებს ადამიანების, პროექტის ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის დასაცავად. ამ



გეგმაში შევა ბუნებრივი კატასტროფების საფრთხეები, როგორცაა წყალდიდობა, ზვავი, მეწყერი და სხვ.

- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა: დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (SEP) წარმოდგენილია პირველ ტომში. ამ გეგმის მიზანია დაინტერესებულ მხარეებთან შედეგიანი კონსულტაციებისა და კომუნიკაციის ჩამოყალიბების მნიშვნელობის შეცნობა, აღიარება, ორმხრივი კომუნიკაციის ხელშეწყობა და ორმხრივ თანამშრომლობასა და ნდომაზე დაფუძნებული ურთიერთობის უზრუნველყოფა. SEP მოიცავს პროექტის დონის დავების მექანიზმის პროცედურას, დაინტერესებული მხარეებიდან მომდინარე დავების მართვისთვის, რომელიც ასევე მოიცავს თემის წევრებს, ადგილობრივ და ცენტრალურ მთავრობებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს.
- საშიშ ნივთიერებებთან მოქცევისა და მათი შენახვის მართვის გეგმა: ეს გეგმა მოიცავს დაღვრის/გაჟონვის მართვის მიდგომას და მოთხოვნებს, რომ პროექტის ყველა ავტომანქანაში, მათ შორის კონტრაქტორების მანქანებში, იყოს დაღვრის საწინააღმდეგო ნაკრები, და უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი (MSDS), სადაც რელევანტურია.
- შრომითი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის პოლიტიკა (OHS): OHS და გამოსაყენებელი პროცედურები: პროექტი განავითარებს შრომითი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის პოლიტიკას, რომელიც მოიცავს შეტყობინების/გაცხადების სისტემებს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიზნებს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პასუხისმგებლობებს, ტრენინგებსა და ინციდენტების, უბედური შემთხვევებისა და შეუსაბამობების შესახებ ანგარიშებს. პრიორიტეტულად გამოსაყენებელი პროცედურები ზემოქმედების შეფასებაზე დაყრდნობით მოიცავს:
 - ინციდენტების მართვის პროცედურას (და ინციდენტების ანგარიშის ფორმას).
 - შეუსაბამობების შესახებ ანგარიშების სისტემის გამოყენებას
 - უსაფრთხოების შესახებ ტრენინგსა და ანგარიშებას
 - მძღოლების უსაფრთხოების პროცედურებს (და მძღოლების დაღლილობის მართვას).
 - პირად დამცავი აღჭურვილობით (PPE) მუშაობის პრაქტიკას (მაგ. დამცავი სათვალეები, თავზე დასაფარებელი დაცვის საშუალებები (მაგ. ჩაფხუტები), დამცავი ჩექმა, დავალების შესაბამისი დამცავი ხელთათმანები, სმენის (ყურების) დამცავი მოწყობილობა და სხვ).
 - ხის მოჭრის (ან გადაჭრის) უსაფრთხო პროცედურას

პროექტის ყველა კონტრაქტორი ვალდებული იქნება შეასრულოს პროექტის OHS მოთხოვნები.



- ნარჩენების მართვის გეგმა: გეგმის მიზანია ნარჩენების წარმოქმნის და მისი განთავსების პრაქტიკის გაუმჯობესება შესაბამისი გზით, ანგარიშის მომზადება და აღრიცხვა პროექტის მიერ წარმოქმნილი ნარჩენების შესახებდა ცნობიერების ამაღლება ნარჩენების შემცირების, თავიდან გამოყენების, გადამუშავებისა და აღდგენის შესახებ. (4R)
 - შესყიდვების პროცედურა: ამ პროცედურის დანიშნულებაა მაქსიმალურად გაზარდოს შესყიდვები და ჰქონდეს შერჩევის თანმიმდევრული და გამჭვირვალე სისტემა.
 - ESHS-ის საკონტრაქტო მოთხოვნათა პროცედურა მშენებლობისთვის: ამ პროცედურის დანიშნულებაა კონტრაქტორებს მიაწოდოს ESHS მინიმალური მოთხოვნები, რომელიც მათ აუცილებლად უნდა დააკმაყოფილონ. ზოგადი მიზანი არის გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანდაცვითი და უსაფრთხოების რისკების მინიმუმამდე დაყვანა. საკონტრაქტო მოთხოვნების პროცედურა აგრეთვე მოიცავს ქცვის კოდექსს.
 - ვეგეტაციის სწრაფი შეფასება: ამ შეფასების მიზანია ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა. ნიადაგის ზედაპირის ან მცენარეული საფარის ამოღებამდე არაუმეტეს 2 დღით ადრე, პროექტი განახორციელებს შეფასებას, რათა შეამოწმოს, ხომ არ არის წარმოდგენილი წითელი ნუსხის მცენარეები, ბუდეები, ან რაიმე სახის ველური ბუნება იმ მიდამოში, რომელზეც შესაძლოა აქტივობის გამო მოხდეს ზემოქმედება.
 - კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის პროცედურა: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კანონის მეათე მუხლი აზუსტებს, რომ „თუ ფიზიკური ან იურიდიული პირი გამოავლენს ან აღმოაჩენს კულტურულ მემკვიდრეობას, ან ამის შესახებ გაუჩნდება საფუძვლიანი ვარაუდი, ისეთი საქმიანობის პერიოდში, რომლის გაგრძელებამაც შეიძლება დაახიანოს, გაანადგუროს ან ამის საფრთხე შეუქმნას მას, საქმიანობის მწარმოებელი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აღნიშნული საქმიანობა და კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის ან აღმოჩენის ან ამის შესახებ საფუძვლიანი ვარაუდის არსებობისა და საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე წერილობით აცნობოს სამინისტროს არა უგვიანეს 7 დღისა. პროექტი მოამზადებს კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის პროცედურას (ე.წ. „შანსის პოვნის პროცედურას“) იმ შემთხვევაში თუ ტყეში გამოვლინდება კულტურული მემკვიდრეობის ადგილი, პროექტის განხორციელების დროს.
- მიწის შეძენის პროცესი: მიწის შეძენის პროცესი მიჰყვება მყიდველისა და გამყიდველის ნებაზე დაფუძნებულ მიდგომას (ნებაყოფლობითი შეთანხმება). მიწის შეძენა მთავრობის პასუხისმგებლობაა: როდესაც პოტენციური ადგილი გამოვლინდება: (1) მიწის მფლობელთან მოლაპარაკებების დაწყების წინ,

<p>გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა</p>	<p>ნაწილი 2: ESMP</p>	
--	-----------------------	---

<p>განხორციელდება ES სკრინინგი, იმის დასაზუსტებლად, რომ გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით, ადგილი სათანადოა; (2) საბაზრო რეიტინგი მიწის განისაზღვრება რეგიონული მიწის ღირებულებით; (3) უზრუნველყოფილია მიწის ნაკვეთის რეგიონული რეესტრი (4) მოლაპარაკება მიწის მფლობელთან; (5) წარმოდგენილია ღირებულება მმართველ კომიტეტთან (6) მიწის მფლობელთან შეთანხმება, იმ იურიდიული დოკუმენტების გამოყენებით, რომელიც მოქმედებს საქართველოში მიწის შესაძენად (შენიშვნა: როგორც ESIA, IFC PS5-შია განხილული, არ არის პროვოცირებული, რაიმეთი გამოწვეული, ვინაიდან არ არის არანებაყოფლობითი განსახლება)</p>	
<p>დროითი ჩარჩო</p>	<p>როგორც კი დაფინანსებული აქტივობის შეთანხმებას ხელი მოეწერება, მართვის სისტემის მოსამზადებლად და ტრენინგის უზრუნველსაყოფად გამოყოფილია 4 თვე.</p>
<p>ხარჯთაღრიცხვა</p>	<p>GIZ ESMP+G სპეციალისტი (პერსონალის ხარჯი) NFA 2 HS სპეციალისტი (პერსონალის ხარჯი) ESHS-MS ადგილობრივი კონსულტანტი (20,000 ევრო)</p>
<p>მონიტორინგი და ანგარიშგება</p>	<ul style="list-style-type: none"> - პროგრესის შესახებ ანგარიში PMU-სთვის - პროგრესის შესახებ ანგარიში მმართველი კომიტეტისთვის - ყოველწლიური გეგმები GCF-ისთვის
<p>შესრულების მთავარი ინდიკატორები</p>	<ul style="list-style-type: none"> - ESHS-ისთვის დაქირავებული პერსონალის რაოდენობა. - მომზადებული და დამტკიცებული გეგმებისა და პროცედურების რაოდენობა. - დატრენინგებული ქალებისა და კაცების რაოდენობა (კონტრაქტორების ჩათვლით). - ტყის მდგრადი მართვის და ეროვნული სატყეო სააგენტოს ყოველწლიურ გეგმებში შემავალი პროცედურებისა და გეგმების რაოდენობა.

<p>გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა</p>	<p>ნაწილი 2: ESMP</p>	
--	-----------------------	---

5.2 საკონტრაქტო მოთხოვნების პროცედურა მშენებლობისთვის

<p>ESHS სამშენებლო საკონტრაქტო მოთხოვნების პროცედურის განხორციელება</p>
<p>მიზნები</p>
<p>ზოგადი მიზნები ESHS სამშენებლო საკონტრაქტო მოთხოვნების პროცედურისა (ამ შემთხვევაში კონტრაქტორია ყველა სამშენებლო კომპანია რომელიც დასაქმებული იქნება პროექტის მიერ (GIZ/MoEPA), რათა უზრუნველყოფილი იყოს სამოქალაქო სამუშაოებთან დაკავშირებული მომსახურებები, მათ შორის სატყეო გზების მშენებლობა, ჭრა, საქმიანი ეზოების მშენებლობა და სხვა:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ პროექტის ESHS მოთხოვნების შესრულება; ➢ ყველა დასაქმებული პირის და თემის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ➢ გავლენის შემცირება, და ➢ სოციო-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი შედეგების მაქსიმალიზაცია (მაგ. თუ კონტრაქტორი კომპანია არის თბილისიდან, მან უნდა მაქსიმალურად უზრუნველყოს ადგილობრივების დასაქმება).
<p>მოქმედებები</p>
<p>პროცედურა მოიცავს დეტალებს იმის შესახებ, თუ რამდენად იქნება შესრულებული ESHS-თან დაკავშირებული სხვადასხვა სამშენებლო აქტივობა. ეს არის პროცედურის განხორციელების კომპონენტი და გეგმები რომელიც მომზადდება ESHS-MS-ის საშუალებით. საკონტრაქტო მოთხოვნათა პროცედურა მოიცავს შემდეგს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ შრომითი უსაფრთხოება და ჯანრმთელობა: <ul style="list-style-type: none"> ○ პირადი დაცვის აღჭურვილობის აუცილებლობა. ○ მძღოლების უსაფრთხოება, დაღლილობის მენეჯმენტი და სიჩქარის ლიმიტები. ○ უსაფრთხოების შესახებ ცოდნა. ○ ინციდენტების შესახებ შეტყობინება. ➢ გარემოსდაცვითი მართვა: <ul style="list-style-type: none"> ○ ნარჩენების მართვა: 4 R -ის გამოყენება ნარჩენების მართვაში: შემცირება, თავიდან გამოყენება, გადამუშავება და აღდგენა (Reduce, Reuse, Recycle and Recover). ნარჩენების განცალკევება ნარჩენების ტიპის მიხედვით მოხდება ადგილზე, გამოყენებული იქნება შესაბამისი ურნები და განთავსებული იქნება შესაბამის ნაგავსაყრელზე თითოეულ მუნიციპალიტეტში მყარი და სამშენებლო ნარჩენები განთავსდება სპეციფიკურ ადგილებში. ნარჩენების გადინებაზე თვალყურის მიდევნების სისტემა შეიქმნება ყველა კონტრაქტორის მიერ. ○ საშიში ნივთიერებებთან მოქცევისა და შენახვის მართვა. დაღვრის



საწინააღმდეგო ნაკრები, დაღვრის საწინააღმდეგო ურნები, სავაგის შესავსები წინასწარ განსაზღვრული სადგურები, შესაბამისი კონტროლით (შეფუთული ადგილები) და საშიში ნარჩენების შესაბამის ლოკაციებზე განთავსება, როგორც ეს მითითებულია მეორე ტომში.

- ჭრები: პროექტი გამოიყენებს შემცირებული ზემოქმედებით ჭრების მეთოდს (RIL)
- ჭრებამდე ჩატარებული ტყის აღრიცხვები და გადაჭრილი ხეების რუკებზე ინდივიდუალურად დატანა.
- ჭრებამდე მომზადებული გზების, მორსათრევ ბილიკებისა და განთავსების გეგმა, რათა შემცირდეს ნიადაგის დაზიანება და მოხდეს ნაკადულებისა და წყალგამტარების დაცვა შესაბამისი გადასასვლელებით.
- ჭრებამდე მხვიარა მცენარეებისგან ადგილის გასუფთავება, სადაც ეს მცენარეები მძლავრად აერთებს ერთმანეთთან ხეების ვარჯებს.
- გზების, განთავსების და მორსათრევი ბილიკების მშენებლობა გარემოსადმი მეგობრული დიზაინის პრინციპებით.
- ხის ჭრის და წაქცევის შესაბამისი ტექნიკის გამოყენება, როგორცაა ჭრისთვის მიმართულების მიცემა, ძირკვების მიწასთან ახლოს ჭრა ნარჩენების თავიდან ასაცილებლად, და ხის ღეროების ოპტიმალური ჯვარედინი ჭრა, რომ მაქსიმალურად მოხდეს გამოსადეგი ხეების აღდგენა.
- მორების გადატანა დაგეგმილ მორსათრევ ბილიკებზე, იმის უზრუნველყოფით, რომ მორსათრევი დანადგარები მუდმივად ბილიკებზე რჩება.
- სადაც შესაძლებელია, გამოყენებული იყოს საკიდი საბაგირო სისტემა/საკაბელო დანადგარები, რომელიც მორების მალლა, მიწასთან შეუხებლად შეკავებით დაიცავს ნიადაგს და ნარჩენ მცენარეულობას, ან შეამცირებს ნიადაგის დაზიანებას
- ჭრების შემდგომი შეფასების ჩატარება რათა მოხდეს უკუკავშირის უზრუნველყოფა რესურსების მენეჯერებისა და ჭრების ეკიპაჟებისთვის და იმის შესაფასებლად, თუ რა ხარისხით განხორციელდა დაბალი ზემოქმედებით ჭრების (RIL) შესახებ გამოყენებული გაიდლაინები.
- ხანძრის პრევენცია: ყველა სამუშაო ადგილის აღჭურვა ცეცხლმაქრებით.



○ მდინარეზე გადასასვლელები: მდინარეზე გადასასვლელების დაგეგმვა სატყეო გზების მშენებლობის დიზაინის წინასწარი დაგეგმვის ნაწილში და მათი ლოკაციების ოპტიმიზაცია. ნაკადულებსა თუ მდინარეებზე გადასასვლელებისთვის გამოყენებული იქნება შემდეგი შესაძლებლობები: ხიდები ან სპეციალური ჩარჩოირებული კულვერტები. ზედაპირული წყლების დაფარვა სამშენებლო მასალით აკრძალულია და აგრეთვე დაუშვებელია მდინარის კალაპოტზე რაიმე ცვლილების განხორციელება მშენებლობის ან სხვა ღონისძიებების შესრულების დროს. მდინარეზე გადასასვლელებისთვის მოთხოვნები მოიცავს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების გამოყენებას (ქვემოთ აღნიშნული „პროექტში გამოსაყენებელი შესაბამის საუკეთესო პრაქტიკები“).

○ გზებისა და მორსატრევი ბილიკების მშენებლობისთვის მთავარი მოთხოვნებია:

- ჰაბიტატების დაზიანებისა და ზემოქმედების შემცირება, გზების სიხშირე უნდა იყოს რაც შიძლება მცირე (ან როგორც საქართველოს კანონმდებლობითაა მოთხოვნილი) და პრიორიტეტული უნდა იყოს არსებული გზებისა და მორსატრევი ბილიკების გამოყენება.
- მიწასთან დაკავშირებული ყველა სამუშაო უნდა დაიგეგმოს ისე, რომ მოხდეს სივრცის მართვის ოპტიმიზაცია, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ ყველა გასუფთავებული ზედაპირი და ფართობი რომელიც მოწყვლადია ეროზიისადმი, მინიმუმამდეა შემცირებული.
- ტყის გზების, მორსატრევი ბილიკებისა და განსათავსებელი ადგილების მშენებლობისთვის ამოთხრილი მასალების დაფვლა ფერდობების გასწვრივ არ არის ნებადართული.
- ფერდობის გამყარება და ეროზიის კონტროლი მთავარ სარისკო ფართობებში მცენარეულობისა და სხვა ბუნებრივი პროცესების გამოყენებით (ბიოინჟინერია).
- მერქნის მოპოვებამდე ტყე-კაფის ადგილში, სატყეო გზები და მორსატრევი ბილიკები, დასატვირთი ბაქნები და მერქნის დასაწყობების ადგილები უნდა მოეწყოს ისეთ ადგილებში, სადაც მოზარდ-აღმონაცენზე, ახალგაზრდა ხეებსა და ნიადაგზე მიყენებული ზიანი იქნება მინიმალური.



- მორსათრევი ბილიკების რეაბილიტაცია ეროზიასა და წყლის ჩამოდინებისგან დასაცავად, უნდა მოხდეს ჭრების დასრულებისთანავე.
- დებულება #242-ის მე-13 მუხლთან შესაბამისობა: „ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, ჭრებისგან წარმოქმნილი ნარჩენების განთავსება უნდა იყოს უზრუნველყოფილი: ა) ნარჩენების მორსათრევი ბილიკებზე განთავსებით ტყე-კაფის ექსპლოატაციის შემდეგ, ეროზიისგან თავდაცვის მიზნით ”
- ტყეში განხორციელებულმა ჭრების ღონისძიებებმა არ უნდა დააზიანოს, მოხსნას ან გაანადგუროს ტერიტორიის 10% -ზე მეტი, ბილიკების, ტყის გზების და სხვა ინფრასტრუქტურის მიზნით.
- გზების მშენებლობისთვის მოთხოვნები მოიცავს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების გამოყენებას (როგორც ქვემოთაა აღნიშნული „პროექტში გამოსაყენებელი შესაბამის საუკეთესო პრაქტიკებში“)
 - o ზედაპირულ წყლებამდე მანძილი. სულ მცირე, პროექტი იქნება „წყლის შესახებ საქართველოს კანონთან“ შესაბამისობაში. ნებისმიერი სახის მშენებლობისთვის შემდეგი ბუფერი იქნება დაცული:
 - ა) 25 კილომეტრამდე სიღრმის მდინარისათვის – 10 მეტრი
 - ბ) 50 კილომეტრამდე სიღრმის მდინარისათვის – 20 მეტრი;
 - გ) 75 კილომეტრამდე სიღრმის მდინარისათვის – 30 მეტრი
 - დ) 75 კილომეტრზე მეტი სიღრმის მდინარისათვის – 50 მეტრი

ამასთანავე, პროექტი გაითვალისწინებს ფერდობებს, რათა განსაზღვროს საუკეთესო შესაძლებლობა ბუფერისთვის, ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიხედვით (მიწათმფლობელთა გზამკვლევი ტყეში მისასვლელი გზების მშენებლობისთვის):



ცხრილი 5-1: რეკომენდირებული ბუფერები (ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი 1998)

ბუფერის რეკომენდირებული სიგანე	
გზებისა და გზებისა და ნაკადულებს შორის დახრილობა (პროცენტი)	ბუფერის რეკომენდირებული სიგანე ფიტებში (დახრილობის მანძილი)
0-10	50
11-20	51-70
21-40	71-110
41-70	111-150
*გზებისათვის, დაქანების მანძილი იზომება ნიადაგის დაზიანების კიდიდან. აღმავალი ფერდობისთვის, დახრილობის მანძილი იზომება აღმავალიფერდობის ძირიდან.	

➤ **ბიომრავალფეროვნება:**

- მცენარეულობის სწრაფი შეფასება ნიადაგის ზედაპირის/მცენარების გატანის ან ხეების მოჭრის წინ.

➤ **ადამიანური რესურსები:**

- ადამიანური რესურსების პოლიტიკა. ეს პოლიტიკა მოიცავს საქართველოს სამართლებრივი ვალდებულების პატივისცემას დასაქმებულთა მიმართ, სამართლიანი მოპყრობის, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე თანაბარი შესაძლებლობების გარანტიას, განურჩევლად მათი პოლიტიკური მიკუთვნებულობის, ასაკის, სქესის, რასის, ეთნიკურობის და სექსუალური ორიენტაციისა. ასევე მოიცავს, პროექტის სამუშაო ძალისადმი პატივისცემით მოპყრობას და ნებისმიერი სახის სექსუალური შევიწროების, დისკრიმინაციის, ჩაგვრისა და ძალადობისადმი შეუწყნარებლობას. აგრეთვე, ადამიანური რესურსების პოლიტიკა მოიცავს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციით აღიარებული პრინციპების დაცვას, უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების ნებაყოფლობითი პრინციპებს დაშრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაციას ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების და მუშაობის შესახებ.
- ქცევის კოდექსი: უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითებს: თემთან დამოკიდებულება, ნადირობის შეზღუდვა პროექტის მთლიანი პერსონალისთვის, დანაგვიანება, შეზღუდვა იმ ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე, რომელიც პროექტის აქტივობების ნაწილია და მედიასთან კომუნიკაცია.

➤ **ნებართვები:**

- მოიცავს ნებისმიერ ნებართვას, რომელიც იქნება სავალდებულო (მაგ. მშენებლობის ნებართვა) და იმის დაწესებას, ნებართვა (ან ნებართვები) უნდა

<p>მოიპოვოს პროექტმათუ კონტრაქტორმა.</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ სოციალური ასპექტი: <ul style="list-style-type: none"> ○ ადგილობრივი კადრების მაქსიმალური მოზიდვა. ○ ადგილობრივი შესყიდვების მაქსიმალური გაზრდა. 	
<p>პროექტში გამოსაყენებელი შესაბამისი საუკეთესო პრაქტიკები</p>	
<p>შემდეგი პრაქტიკები ეხება ESHS სამშენებლო საკონტრაქტო მოთხოვნების პროცედურისთვის:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ GIZ-ის სამშენებლო პროცედურა. ➤ FAO- მთიან რელიეფზე სატყეო გზების ინჟინერიის გზამკვლევი ➤ ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი - მიწის მფლობელების სახელმძღვანელო, ტყეში მისასვლელი გზების მშენებლობისთვის. ➤ 2014 - საუკეთესო პრაქტიკების სახელმძღვანელო - სატყეო გზების დაგეგმვა და მშენებლობა საქართველოსთვის ➤ 2009 გერმანიის სოფლის მეურნეობის სამინისტრო - კონსერვაცია და გარემო - ნიადაგის კონსერვაცია და წვდომა ტყეებზე - სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისთვის 	
<p>დროითი ჩარჩო</p>	<p>სამშენებლო აქტივობების მომზადებამდე სამუშაო სფერო</p>
<p>ხარჯთაღრიცხვა</p>	<p>ESHS-MS კონსულტანტის მიერ პროცედურის მომზადება (იხ. ESHS-MS).20,000 ევრო.</p>
<p>მონიტორინგი და ანგარიშგება</p>	<ul style="list-style-type: none"> - პროგრესის შესახებ ანგარიში PMU-თვის - პროგრესის შესახებ ანგარიში მმართველი კომიტეტისთვის - წლიური გეგმები GCF-თვის - პროცედურის განხორციელება: ყოველკვირეული და შემთხვევითობის პრინციპით ზედამხედველობა სამშენებლო კონტრაქტორებისა NFA -ის ჯანმრთელობისა და უსართხოების სპეციალისტების მიერ, ყოველთვიური შემოწმება GIZ ადგილობრივი წარმომადგენლების მიერ, რომელიც დადგენილი იქნება თითოეულ რეგიონში და კვარტლური შემოწმება GIZ ESMP+G სპეციალისტის მიერ.
<p>შესრულების მთავარი ინდიკატორები</p>	<ul style="list-style-type: none"> - პროცედურის შესრულება. - კონტრაქტორების რაოდენობა - ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების რაოდენობა - შეუსაბამობებისა და შესრულებული მაკორექტირებელი მოქმედებების რაოდენობა

<p>გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა</p>	<p>ნაწილი 2: ESMP</p>	
--	-----------------------	---

5.3 სოციალური მხარდაჭერის გეგმა

<p>სოციალური მხარდაჭერის გეგმის შემუშავება და განხორციელება</p>
<p>მიზნები</p>
<p>ამ გეგმის მიზანია თემ(ებ)ისთვის პროექტის ბენეფიტების გაზიარება, თემში დასაქმების და შესყიდვების მაქსიმალურად ზრდა და ტყის კოდექსის და მეორად კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების შემცირება. გეგმას აქვს ორი მთავარი კომპონენტი:</p>
<p>➤ ადგილობრივი კონტექსტი: ეს მოიცავს დასამქებას, შესაძლებლობათა ზრდას მამაკაცებისა და ქალებისთვის რათა მაქსიმალურად გაიზარდოს ადგილობრივად საქონლისა და მომსახურებების შექმნა. პროექტი ამ საკითხის გადაჭრას ეხმარება ტყის მდგრად მართვასა და კონსერვაციასთან დაკავშირებული პროფესიული უნარჩვევების და დასაქმების შესაძლებლობების განვითარებით, პროფესიული განათლებისა და ტრენინგის დახმარებით და ორგანიზაციული და ბიზნეს უნარების განვითარებით, რომელიც ტყის პროდუქტების წარმოებასთან, გადამამუშავებასთან და მარკეტინგთანაა დაკავშირებული.</p>
<p>თემის სოციალური მხარდაჭერის პროგრამები: ეს მოიცავს სპეციფიკურ პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს ეკონომიკური საარსებო საშუალებების გაუმჯობესებას სამიზნე თემებში. პროგრამების მიზანია საარსებო საშუალებების გამრავალფეროვნება ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ტყესთან დაკავშირებული ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების მეშვეობით. კომპონენტი 3 მოიცავს სოციალური მხარდაჭერას სოფლად მცხოვრები თემებისთვის და ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებას, ტყის საზღვართან მცხოვრები თემებისთვის. კერძოდ, ის: 1) უზრუნველყოფს, რომ მუნიციპალიტეტების უწყებები და მოქალაქეები ფლობდნენ და იყენებდნენ შესაბამის ტექნიკურ და ადამიანურ შესაძლებლობებს სამიზნე რეგიონში ტყეების მდგრად მართვაში მონაწილეობის მისაღებად, და 2) უზრუნველყოფს, რომ სამიზნე თემებში მამაკაცებმა და ქალებმა ისარგებლონ შემოსავლის დივერსიფიცირებული შესაძლებლობებით, ტყესთან დაკავშირებული ღირებულებითი ჯაჭვების და ტყესთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების მეშვეობით.</p>
<p>მოქმედებები ადგილობრივი კონტექსტისთვის</p>
<p>➤ ყველა იმ მცირე და საშუალო მეწარმის სიის მომზადება თითოეულ რაიონში, რომელთაც შეუძლია პროექტის საქონლითა და მომსახურებებით მომარაგება. ადგილობრივი შესყიდვები შეიძლება მოიცავდეს ადდენით სამუშაოებს და ვეგეტაციის განახლების აქტივობებს, მორების ტრანსპორტირებას, საწვავი მერქნის გასაყიდი საწყობებს, ხეების მოჭრას, ბრიკეტებით მომარაგებას, EE ღუმელებს და სხვა.</p> <p>➤ შესაძლებლობათა განვითარების უზრუნველყოფა ღუმელების ამჟამინდელი მწარმოებელთათვის (კომპონენტი 2): შესაძლებლობათა ზრდა მოიცავს ტრენინგებს საუკეთესო გარემოსდაცვით პრაქტიკებზე, როგორცაა ნარჩენების შემცირება დასაწყისშივე, ნარჩენების მართვა, სათანადო უსაფრთხოების აღჭურვილობის</p>



გამოყენება, მტვრის შეკავების ტექნიკები, მართვა საშიშ ნივთიერებათა დაღვრის შემთხვევაში, მათი ცოდნით აღჭურვა მწვანე პროდუქტების გამოყენების თაობაზე, სამზადისში დახმარება და მიზნებზე ორიენტირებული პროცედურების განხორციელება, პლასტმასისი მინიმალური გამოყენება, კარგი საყოფაცხოვრებო ტექნიკები, და სხვ. პროექტისთვის ნაცნობია, რომ მწარმოებლების უმრავლესობას არ ექნება პროცედურები ან ESMS-ები, თუმცა პროექტის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი არის რეგინალური და ეროვნული კომპანიების გამოყენების მაქსიმალურად გაზრდა, შესაბამისად უფრო მოსალოდნელია, რომ სტანდარტებთან შესაბამისობა თანდათანობით მიიღწევა, ვიდრე ის, რომ კომპანიებს ექნებათ ეს პროცედურები მზად დასაწყისიდანვე, სხვაგვარად ეს კომპანიები ვერ შეძლებენ პროექტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

- ინკლუზიური შესყიდვების პოლიტიკის მომზადება: პროექტი მაქსიმალურად გაზრდის შესყიდვებსა და დასაქმების შესაძლებლობებს პროექტში, მათ შორის: ხის მჭრელების, ტყის აღრიცხვის მკვლევარების, საქმიანი ეზოების პერსონალის, რეინჯერების, თემის კონსერვაციის საკითხებზე მომუსავე საკომუნიკაციო პირების, საწვავი მერქნის გასაყიდ საწყობების, აღდგენითი სამუშაოების, საქმიანი ეზოების მშენებლობით და ა.შ.
- ადამიანური რესურსების ინკლუზიური პოლიტიკის მომზადება: სამუშაო ადგილების ყველა განცხადება ცალსახად გამოხატავს რომ გამოცხადებულ სამუშაო ადგილზე მიიღებიან როგორც კაცები, ისე ქალები, და რომ უპირატესობა მიენიჭებათ ადგილობრივი თემის წარმომადგენლებს.

მოქმედებები თემის სოციალური მხარდაჭერის პროგრამისთვის

ამ გეგმის მიზანია საქართველოში კახეთის, გურიისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების სამიზნე თემებში საარსებო წყაროების დივერსიფიცირება და ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება ტყის მართვაში, შემოსავლების გაზრდისა და სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შემსამცირებლად. იგი შედგება ოთხი აქტივობისაგან. სოციალური მხარდაჭერის გეგმის ქმედებები (შედის კომპონენტ 3-ში) დაჯგუფებულია შემდეგ აქტივობებად და შესაბამის ქვეაქტივობებად:

- **აქტივობა 3.1:** შემუშავებული და დანერგულია მუნიციპალიტეტის დონის ინსტრუმენტები, პრაქტიკა, გეგმები და საჭირო შესაძლებლობები ჩართულობითი ტყის მდგრადი მართვისა და კონსერვაციისთვის
 - მუნიციპალური ტყის მართვის განხორციელებადობის კვლევების ჩატარება, განსაკუთრებით ხარჯებსა და სარგებელთან დაკავშირებით
 - MEPA-ს პოლიტიკური და სამართლებრივი მხარდაჭერა მუნიციპალური ტყის მართვის მომზადებისთვის, FOLI-ის კრიტერიუმებისა და ტრანზფერის ჩათვლით, და პოლიტიკის შემუშავებაში მუნიციპალიტეტების აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა.



- მუნიციპალური ტყის მართვის პილოტირების ელემენტების მხარდაჭერა - მათ შორის თუშეთის მხარდაჭერის გაგრძელება - გამოცდილების და მიღებული გაკვეთილების დოკუმენტირება
- სახელმძღვანელო დოკუმენტების, ინსტრუმენტებისა და სტანდარტული საოპერაციო პროცედურების ნაკრების შემუშავება
- მუნიციპალური ტყის მართვისთვის სხვა ვარიანტების მოძიება (მაგ. ახმეტა, დედოფლისწყარო და ლანჩხუთი)
- სხვადასხვა დონეზე ცნობიერების ამაღლებისა და მუნიციპალური ადმინისტრაციული პერსონალის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა
- კავშირების გაძლიერება ტყესთან დაკავშირებულ შესაბამისი ღირებულებითი ჯაჭვების მხარდაჭერით და თემისა და მუნიციპალიტეტის შესაბამისი შესაძლებლობების განვითარება
- 8-ვე მუნიციპალიტეტის ეკოსისტემური მომსახურებების შეფასება და დარუკება
- **აქტივობა 3.2:** შემუშავებული, ხელშეწყობილი და გამოცდილია ადგილობრივი დონის მექანიზმები უარყოფით ზემოქმედებას დაქვემდებარებული დაინტერესებული მხარეების ინტერესების უკეთესად დასაცვად
- ტყის მართვის გეგმების დაგეგმვა და შეთავსებადი ერთობლივი მართვის ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა.
- ტყის მართვის გეგმების ინკლუზიური და გენდერულად მგრძობიარე დაგეგმვა და თავსებადი ერთობლივი მართვის აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა.
- სარგებლის განაწილებისა და სოციალური რისკების მართვის პოტენციური მექანიზმების იდენტიფიცირება ქალთა განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით
- ადგილობრივი ტყითმოსარგებლების აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა 4 სამიზნე უბანზე, სადაც მზადდება ტყის მართვის გეგმები
- ტრენინგებისა და ტექნიკური რჩევების უზრუნველყოფა სოციალური გარანტიების მონაწილეობითი დაგეგმვისა და განხორციელებისთვის, მათ შორის მუნიციპალური ხელისუფლების, NFA-ს რეგიონული პერსონალისთვის და DES-ის თანამშრომლებისთვის
- NFA-სთან, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან და ადგილობრივ ტყითმოსარგებლებთან ასეთი პროცესების მხარდაჭერის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ სახელმძღვანელოს შემუშავება.
- არსებული, კარგი პრაქტიკის საფუძველზე ადგილობრივი კოორდინაციისა და კონფლიქტების მოგვარების მექანიზმების განსაზღვრა



- სოციალური რისკების შერბილებისა და მართვისთვის საგარანტიო მექანიზმების შესახებ სამთავრობო აქტორებისთვის რჩევების მიწოდება
- სატყეო სექტორისთვის ადგილობრივად ხელმისაწვდომი საჩივრების მექანიზმისა და ინციდენტების მოხსენების სისტემის კონცეფციის შემუშავებისა და დანერგვის მხარდაჭერა (მაგ. ომბუდსმენი)
- **აქტივობა 3.3:** ტყის მდგრად მართვასთან და კონსერვაციასთან დაკავშირებული პროფესიული უნარები და ცოდნა ხელმისაწვდომია პროფესიული განათლების, და ცოდნის ცენტრებთან საერთაშორისო პარტნიორობის მეშვეობით
- "ტყის სპეციალისტის" პროფესიული სასწავლო პროგრამის გაუმჯობესების / განახლების შესახებ კონსულტაციის უზრუნველყოფა, მათ შორის მასალებზე ტყესთან დაკავშირებული ღირებულებითი ჯაჭვების შესახებ (მაგ. ეკოტურიზმი, ბიზნესის უნარების განვითარება, ტყის არამერქნული რესურსები)
- ადგილობრივი მეწარმეების ტრენინგის საჭიროებების შეფასება ტყესთან დაკავშირებულ ღირებულებით ჯაჭვებზე (ეკოტურიზმი, ტყის არამერქნული პროდუქტები) და მოკლევადიან კურსებზე მოთხოვნის შეფასება.
- ტექნიკური კონსულტაციის უზრუნველყოფა სამიზნე ჯგუფებზე ორიენტირებული მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების შესახებ, რომლებიც ადგილობრივად, მუნიციპალურ დონეზე იქნება შეთავაზებული პროფესიული კოლეჯების მიერ
- პროფესიული განათლების პროფესორებისა და მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერების (ტრენერთა ტრენინგი) და პროფესიული განათლების კოლეჯებსა და კერძო სექტორს შორის კავშირების ხელშეწყობა
- საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება ადგილობრივი თემებისთვის პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ქალთა ორგანიზაციებთან და საბჭოებთან თანამშრომლობით.
- დაფინანსებისა და კონსულტაციის უზრუნველყოფა ქართული უნივერსიტეტებისთვის, პროფესიული გაცვლების ორგანიზებისთვის, შვეიცარიის უნივერსიტეტებთან პარტნიორობით, ტყის მდგრად მართვასა და ღირებულებით ჯაჭვებთან დაკავშირებულ თემებზე.
- გენდერული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ქალთა ჩართულობის გაძლიერების ღონისძიებების ხელშეწყობა
- **აქტივობა 3.4:** გაძლიერებულია შერჩეული ღირებულებითი ჯაჭვები (მაგ. მერქნის ღირებულებითი ჯაჭვი, ტყის არამერქნული პროდუქტების ღირებულებითი ჯაჭვი ან ეკოტურიზმის ღირებულებითი ჯაჭვის ნაწილები)



- საკონსულტაციო მომსახურებების უზრუნველყოფა არსებული ღირებულებითი ჯაჭვების გასაძლიერებლად, ტყის არამერქნული პროდუქტების, ტურიზმისა და მერქნის ღირებულებითი ჯაჭვების ჩათვლით სამიზნე ადგილებში და მათ შორის კავშირების გასაძლიერებლად.
- ბიზნესის განვითარების შესაძლებლობების და პროფესიული და ტექნიკური უნარების გაძლიერება დაინტერესებული მხარეებისთვის, შერჩეულ, ტყესთან დაკავშირებულ ღირებულებით ჯაჭვებში.
- კონსულტაციის გაწევა შერჩეულ ღირებულებით ჯაჭვებში ადგილობრივი მეწარმეებისთვის ფინანსურ მომსახურებებზე წვდომის ხელშეწყობის მიზნით.
- ადგილობრივი მეწარმეებისთვის აღჭურვილობისა და მასალების მიწოდება, ტყის არამერქნული პროდუქტებისა და ტურიზმის ღირებულებით ჯაჭვებში საპილოტე ღონისძიებების მხარდასაჭერად.
- ტყის არამერქნული პროდუქტების ინვენტარიზაციის და მდგრადი შეგროვების პრაქტიკის დანერგვა.
- მომსახურებების გატენდერებაში და კონცესიებში NFA-ის პროცესების შემდგომი განვითარება, ადგილობრივი მომსახურების მიმწოდებლების ინკლუზიურობის / ჩართულობის გაზრდის და გარემოსდაცვითი გარანტიების გაძლიერების მიზნით.
- უბნის დონეზე ტურიზმის განვითარების დაგეგმვაში NFA-ის პროცესების ინკლუზიურობის გაზრდა.
- შერჩეულ ტყესთან დაკავშირებულ ღირებულებით ჯაჭვებში არაფორმალური ადგილობრივი მეწარმეების ლეგალიზაციის ხელშეწყობა.
- 8 სამიზნე მუნიციპალიტეტში ცნობიერების ამაღლება ტყესთან დაკავშირებულ ღირებულებით ჯაჭვებში არსებული შემოსავლის შესაძლებლობების შესახებ.
- ეროვნულ დონეზე პოლიტიკის შემუშავების პროცესში კერძო სექტორის ჩართულობის ხელშეწყობა

➤ **მოთხოვნები:**

- ქალთა მონაწილეობა.
- ჩართულობითი, ინკლუზიური და გენდერულად მგრძნობიარე კონსულტაცია სოციალური მხარდაჭერის აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.
- კახეთის, გურიისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონულ გეგმებთან, სატყეო უბნების ტყის მართვის გეგმებთან, და თუ შესაძლებელია, მუნიციპალურ გეგმებთან, ან სხვა მართვის გეგმებთან შესაბამისობა.

- შესაბამისობა თემის ინტერესებთან (მოსახლეობიდან მიღებული განახლებული ინფორმაცია, სოფლის მეურნეობისა და დამატებითი ღირებულების, მეფუტკრეობის, ეკოტურიზმის, ტურიზმის, ზოგადი SME-ს, ბრიკეტების დამზადების, EE ღუმელების წარმოების, მეცხოველეობის (შემოღობვა, საძოვრების მართვა, ზამთრის საკვების, წყლის, სურსათის, ვეტერინარული მოვლის) შესახებ და სხვა ინფორმაციის ჩათვლით).
- მდგრადობის ფაქტორები ანუ გადაცემის ეფექტური სტრატეგია (კრიზისიდან გამოსვლის სტრატეგია) და თვით-კმარობა.
- აუცილებელია, სოციალური პროგრამის ღონისძიებები იყოს გარემოს დაცვის მიმართულებით გამართლებული.
- გამჭვირვალე მექანიზმების შემუშავება სარგებლის გაზიარების, დავების გადაწყვეტისა და სოციალური და გარემოსდაცვითი გარანტიების მართვისთვის. სარგებელი თანაბრად ნაწილდება ბენეფიციარებს შორის.
- მკაფიო საოპერაციო და მოვლითი ღონისძიებები დამოკიდებულების (დაქვემდებარებულობის) თავიდან ასაცილებლად, სადაც შესაძლებელია, არსებული ინსტიტუციური სტრუქტურებისა და შესაძლებლობების საფუძველზე.
- ტექნიკური დავალებების მომზადება და სოციალური უზრუნველყოფის გეგმასთან დაკავშირებული აქტივობების განსახორციელებლად. ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები გაერთიანებული იქნება ტექნიკურ დავალებებში, აგრეთვე მოთხოვნა შეთავაზების მომზადების შესახებ, იმაზე, თუ როგორ უზრუნველყოფს განმახორციელებელი სააგენტო მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობას (როგორც აღნიშნულია SEP-ში) და მოთხოვნა, იმის შესახებ, რომ მოიცვას პროექტის SEP-ის შესაბამისი ჩართულობის გეგმა. პრიორიტეტი მიენიჭებათ განმახორციელებელ სააგენტოებს შესაბამისი რეგიონებიდან.

<p>დროითი ჩარჩო</p>	<p>2021-2024 - სოციალური მხარდაჭერის გეგმისთვის. მთლიანი პროექტის ხანგრძლივობა - ადგილობრივი კონტექსტისთვის.</p>
<p>ხარჯთაღრიცხვა</p>	<p>ESMP+G სპეციალისტისა და GIZ ადგილობრივი წარმომადგენლების ხარჯი. SDC-მ აიღო ვალდებულება უზრუნველყოს 4.09 მილიონი ევრო მესამე კომპონენტისთვის, რომელიც განკარგავს სოციალური მხარდაჭერის გეგმას</p>
<p>მონიტორინგი და ანგარიშგება</p>	<ul style="list-style-type: none"> - პროგრესის შესახებ ანგარიში PMU-სთვის. - პროგრესის შესახებ ანგარიში მმართველი კომიტეტისთვის - ყოველწლიური გეგმები GCF-ისთვის. - ნახევარწლიური ანგარიშგება SDC-სთვის - სხვა ანგარიშები დონორი ორგანიზაციების მოთხოვნების

<p>შესრულების მთავარი ინდიკატორები</p>	<p>შესაბამისად, დასრულების შესახებ ანგარიშის ჩათვლით.</p> <p>ადგილობრივი შინაარსის აქტივობებისთვის, ინდიკატორები მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> - შესყიდვების პოლიტიკა, ადგილობრივი საქონლისა და მომსახურებების შესყიდვაზე პრიორიტეტის მინიჭება. - ადამიანური რესურსების პოლიტიკა - დასაქმების ნაწილში ადგილობრივი ქალებისა და მამაკაცებისთვის პრიორიტეტის მინიჭება. - ადგილობრივი ბიზნესების რიცხვი, რომელიც დაკონტრაქტებულია პროექტის მიერ და კონტრაქტების ღირებულება. - ადგილობრივი კონტრაქტების შედეგად, ადგილობრივი ბიზნესების მიერ დაქირავებული ქალებისა და მამაკაცების რაოდენობა; - უშუალოდ პროექტის მიერ დაქირავებული ქალებისა და მამაკაცების რიცხვი. - EE ღუმელების მწარმოებლებისთვის მიწოდებული ტრენინგების ტიპის რიცხვი. - EE ღუმელების მწარმოებლებისთვის ჩატარებულ ტრენინგებში მონაწილეთა რიცხვი - თემის სოციალური მხარდაჭერის პროგრამისთვის ინდიკატორები მოიცავს: <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტებში ტყეზე დამოკიდებულ მოქალაქეებს შორის [გენდერულად დაყოფილი ფოკუს ჯგუფები] ტყის მდგრად მართვაზე და მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაზე მათი გავლენის შესახებ საშუალო აღქმის გაზრდა სამიზნე რეგიონებში. - ახალი კანონიერი თანამშრომლობის [მდგრადობის სტანდარტების შესაბამისი] შემთხვევების რაოდენობა NFA-სა და დატრენინგებულ ტყითმოსარგებლებს შორის (მაგალითად, ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვებასთან, ეკოტურიზმთან, ხე-ტყის პროდუქტებთან დაკავშირებით). - ტყესთან დაკავშირებული ღირებულებითი ჯაჭვების საფუძველზე (მაგ. ტყის არამერქნული პროდუქტები, ეკოტურიზმი, ხე-ტყის პროდუქტები) ადგილობრივი მეწარმეებისა და მცირე და საშუალო ბიზნესების ახალი, ან გაუმჯობესებული ბიზნეს მოდელების რაოდენობა - მუნიციპალური ტყის მართვის ინსტრუმენტების ნაკრები
---	--



	<p>ეროვნული და მუნიციპალური დონის გადაწყვეტილების მიმდებთანავე, ხარჯ-სარგებლის ანალიზით (CBA), ადგილობრივი შესაძლებლობების და წინაპირობების ანალიზით, აგრეთვე ინსტიტუციური მოწყობის ვარიანტები, შემუშავებულია MEPA-სთან და სამიზნე მუნიციპალიტეტებთან ერთად.</p> <ul style="list-style-type: none"> - შემუშავებული, ხელშეწყობილი და გამოცდილია ტყის მართვის გეგმების შემუშავებაში ადგილობრივი ტყითმოსარგებლების ეფექტური მონაწილეობის და სარგებლის სამართლიანი განაწილების მექანიზმი. - შემუშავებული, ხელშეწყობილი და გამოცდილია ადგილობრივად ხელმისაწვდომი საჩივრების განხილვის მექანიზმი სატყეო სექტორისთვის, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქალთა საჭიროებებს. - იმ ადგილობრივი პირების რიცხვი, რომლებმაც ტყესთან დაკავშირებულ ღირებულებით ჯაჭვებზე (ეკოტურიზმი, ტყის არამერქნული პროდუქტები, ხე-ტყის პროდუქტები) და მასთან დაკავშირებულ ბიზნეს უნარებზე გაიარეს ტრენინგები ახლად შემუშავებული მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით, რომლებსაც ადგილობრივად სთავაზობენ პროფესიული კოლეჯები, ან სხვა ოფიციალური სასწავლო დაწესებულებები. - ადგილობრივი მეწარმეების და მცირე და საშუალო ბიზნესების მიერ ტყესთან დაკავშირებული ღირებულებითი ჯაჭვებისთვის (ტყის არამერქნული პროდუქტები, ეკოტურიზმი, ხე-ტყის პროდუქტები) შემუშავებული ახალი, ან გაუმჯობესებული ბიზნეს გეგმების რაოდენობა. - იმ ადგილობრივი კერძო მეწარმეების, ან მცირე და საშუალო ბიზნესების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებსაც გაუმჯობესებული წვდომა აქვთ ტყესთან დაკავშირებული ღირებულებითი ჯაჭვების (ტყის არამერქნული პროდუქტები, ეკოტურიზმი, ხე-ტყის პროდუქტები) ფორმალურ ფინანსურ პროდუქტებსა და მომსახურებებზე. - ადგილობრივი კერძო მეწარმეების, ან მცირე და საშუალო საწარმოების ახალი ან გაუმჯობესებული ტყეზე დაფუძნებული პროდუქტების (ტყის არამერქნული პროდუქტები, ეკოტურიზმი, ხე-ტყის პროდუქტები)
--	--

<p>გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა</p>	<p>ნაწილი 2: ESMP</p>	
--	-----------------------	---

	<p>რაოდენობა, რომლებიც ბაზარზე გავიდა ღონისძიებების (მაგ. ბაზრობები, გამოფენები) საშუალებით, ან ონლაინ რეჟიმში.</p>
--	---

5.4 სწრაფი გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი

სურათი 5-1 წარმოადგენს პროცედურას, რომელიც გამოყენებული იქნება პროექტის ქვე აქტივობების ზემოქმედების სკრინინგისთვის. ეს მიდგომა ადაპტირდა სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის მიდგომიდან.


თითოეული აქტივობის სკრინინგი მოხდება შესაბამისი ჩამონათვალის (ე.წ. „ჩეკლისტის“) მიხედვით, რომელიც ქვემოთაა წარმოდგენილი. სკრინინგის განსახორციელებლად, საჭიროა შემდეგი ინფორმაცია:

- იმ აქტივობის აღწერა, რომელიც ყველგან უნდა განხორციელდეს.
- აქტივობისთვის გამოყენებული აღჭურვილობა და აქტივობის ხანგრძლივობა.
- გავლენა.
- ადგილის აღწერა.
- ადგილი, რუკები და GPS კოორდინატები.

მას შემდეგ, რაც სამშენებლო აქტივობები და/ან ქვე-აქტივობები და ამ აქტივობების ადგილი დადგინდება, შეივსება ე.წ. ჩამონათვალი და მოეწერება ხელი ESMP+G სპეციალისტისა და PMU-ს მიერ. სკრინინგის პროცესი უზრუნველყოფს, რომ აქტივობა საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს მიხედვით შესაბამისობაშია პროექტის მიზნებთან და სტანდარტებთან, და რომ სათანადო გარემოსდაცვითი მიმოხილვა ჩატარებულია.

თუ ზემოქმედების ბუნება, სიმძლავრე, შექცევადობა და მდებარეობა ქვე-აქტივობის სკრინინგისთვის მთავარი ელემენტებია, ექსპერტების შეფასება იქნება ცენტრალური ფაქტორი იმის გადაწყვეტაში, უნდა იყოს თუ არა ქვე-აქტივობა გათვალისწინებული ESMP-სა და ESMS-ში და საკმარისია თუ არა მთლიანი ESMP and ESMS ზემოქმედების მართვისთვის. სკრინინგის პროცესი ასევე განსაზღვრავს არის თუ არა საჭირო ადგილისთვის დამახასიათებელ სხვა მართვის გეგმები ზემოქმედების მართვისთვის. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა განხორციელდება თითოეულ სამშენებლო აქტივობაში ან ქვე-აქტივობაში.

თითოეული ქვე-აქტივობისთვის შემუშავდება მონიტორინგის ზომების სპეციფიკური დახასიათება და ტექნიკური დეტალები, ასევე დადგინდება გამოსაყენებელი მეთოდები, სანიმუშო ადგილები, გაზომვების სიხშირე, გამოვლინდება შეზღუდვები (სადაც საჭიროა) და განისაზღვრება ზღვარი, რაც იქნება მანიშნებელი მაკორექტირებელი მოქმედებების საჭიროებისა.



დიაგრამა 5-1: სკრინინგის პროცედურა

დაცვისათვის გამოსაყენებელი ინსტრუმენტები მოიცავს IFC, PS და GIZ მდგრადობის პოლიტიკას და მასთან დაკავშირებულ გარანტიებს.

ადგილისთვის დამახასიათებელი სწრაფი გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგისთვის ჩამონათვალის შექმნა და განხორციელება
მიზანი
სწრაფი გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის ჩამონათვალის მიზანს წარმოადგენს მშენებლობის დაწყებამდე კონკრეტული ადგილისთვის კვლევის ჩატარება ESHS რისკების შესამცირებლად (ეს ასევე მოიცავს ყველა სამოქალაქო სამუშაო ღონისძიებებს, საქმიანი ეზოების და სატყეო გზების ჩათვლით)
მოქმედებები
ნებისმიერი სამშენებლო აქტივობის დაწყებამდე და/ან ქვე აქტივობის შესრულებამდე



უნდა გადამოწმდეს შემდეგი:

რისკები/ზემოქმედება	დიახ	არა	კომენტარი
საჭიროებს თუ არა ეს აქტივობა მთავრობის (ადგილობრივი ან ცენტრალური) ნებართვას?			
მზად არის თუ არა ნებართვა?			
გამოკვლეულია თუ არა ყველა შესაძლებლობა, რომ რაც შეიძლება შემცირდეს ე.წ. მწვანე ტერიტორიების გამოყენება და სანაცვლოდ გამოყენებული იქნას მხოლოდ ყოფილი სამრეწველო ტერიტორია? (ე.წ. „ბრაუნფილდი) (მაგ.საქმიანი ეზოს დაარსება უკვე არსებულ შენობაში, რათა შემცირდეს არსებული სატყეო გზების და სხვ. გამოყენება).			
საქმიანი ეზოებისთვის მოხდა თუ არა მისი ადგილმდებარეობის და თემისთვის მისადგომლობის გათვალისწინება?			
მოთხოვნილი უსაფრთხოების ზომების ტიპი			
მიღებულია თუ რეგენზია და შემოწმება GIZ სამშენებლო დეპარტამენტისგან?			
დადგენილია და შეძენილია თუ არა პირადი დაცვის აღჭურვილობა? (PPE)			



ფლორია და ფაუნის სწრაფი შეფასების განხორციელება			
არის თუ არა პრიორიტეტული ფლორა და ფაუნა წარმოდგენილი?			
არსებობს თუ არა ფაუნისთვის ზიანის მიყენების რისკები?			
ხეების მოჭრამდე არა უმეტეს ორი დღით ადრე ხეების შემოწმება, ვეგეტაციის სწრაფი შეფასების მეთოდით, რათა გამოვლინდეს არის თუ არა იქ ბუდეები.			
დადგინდა თუ არა ადგილები მყარი და სამშენებლო ნარჩენების განსათავსებლად?			
წარმოქმნის თუ არა აქტივობა საშიშ ნარჩენებს და არსებობს თუ არა ამის შერბილების ღონისძიებები?			
არის თუ არა ეროზიისა და ნალექის რისკები და არსებობს თუ კონტროლის ზომები?			
არსებობს თუ არა პოტენციური ზემოქმედება ზედაპირულ ან მიწისქვეშა წყლებზე?			
გამოვლენილია თუ არა ადგილები, ნიადაგის ზედაპირის (გადათხრის შედეგად მიღებული) დროებით შესანახად?			
არის თუ არა ფერდობები და მოხდა თუ არა ამის გათვალისწინება დიზაინის შექმნის დროს?			



არსებობს თუ არა ინვაზიური სახეობებისა და დაავადებათა გავრცელების რისკები?			
ურბანულ გეგმასთან თავსებადობა (თუ ეს რელევანტურია)			
არის თუ არა მოსახლეობის ხეები, მოსავალი ან ინფრასტრუქტურა?			
ქალებისა და მამაკაცებისთვის ადგილობრივი დასაქმების მაქსიმალურად გაზრდის საშუალებების დადგენა			
არის თუ არა ამ ადგილთან ახლოს რაიმე სათემო ინფრასტრუქტურა (სკოლები)?			
არსებობს თუ არა უსიამოვნებების წარმოქმნის რისკი როგორცაა მაგ. ხმაური, მტვერი და ა.შ.			
წარმოქმნის თუ არა აქტივობა რაიმე საფრთხეს თემისთვის?			
არის თუ არა აქტივობა ადგილობრივ რეგულაციასთან თანხვედრაში?			
გაეწიათ თუ არა კონსულტაციები თემის მოსახლეობასა და ადგილობრივ უწყებებს (ორივეს, როგორც კაცს ისე ქალს)? თემიდან მიღებული რეკომენდაციების ჩათვლით.			
მიეწოდათ თუ არა ინფორმაცია ადგილობრივ უწყებებსა და თემის მოსახლეობას აქტივობის დაწყებისა და დასრულების თარიღის შესახებ?			
ჩამოთვალეთ შემარბილებელი ღონისძიებები შემოთავაზებული ტერიტორიისთვის კონკრეტული აქტივობისთვის (რომელსაც არ ფარავს ESMP).			
დროითი ჩარჩო	მშენებლობის დაწყებამდე		
ხარჯთაღრიცხვა	ESMP+G სპეციალისტის ხარჯი ჯანრმთელობისა და უსაფრთხოების (HS) სპეციალისტების ხარჯი.		
მონიტორინგი და ანგარიშგება	- პროგრესის ანგარიში PMU-თვის.		

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა	ნაწილი 2: ESMP	
--	----------------	---

	<ul style="list-style-type: none"> - პროგრესის ანგარიში მმართველი კომიტეტისთვის - ყოველწლიური გეგმები GCF-თვის.
შესრულების მთავარი ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> - სკრინინგის სისტემის ჩამოყალიბება. - ჩატარებული სკრინინგების რაოდენობა და რეცენზიების ხარისხი - შემოთავაზებული და შესრულებული ღონისძიების ტიპი საიტზე.

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა	ნაწილი 2: ESMP	
---	----------------	---

5.5 კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის ე.წ. „შანსის პოვნის“ პროცედურა

კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის პროცედურის მომზადება	
მიზნები	
<p>ე.წ. „შანსის პოვნის“ პროცედურის (Chance Find Procedure) მიზანს წარმოადგენს გარკვეული სტანდარტული პროცესის ჩამოყალიბება, კულტურული ან არქეოლოგიური ობიექტების მოულოდნელად აღმოჩენის შემთხვევაში, პროექტის საქმიანობის შესრულების დროს. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია „შანსის პოვნის“ განმარტავს როგორც „მატერიალურ კულტურული მემკვიდრეობის მოულოდნელად აღმოჩენას, პროექტის სამშენებლო ან სხვა საქმიანობის დროს“. (IFC 2012).</p>	
მოქმედებები:	
<p>ნებისმიერი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის (ან არქეოლოგიური) აღმოჩენა მშენებლობის დროს (საქმიანი ეზოების და ტყემდე მისასვლელი გზების მშენებლობისას), ჭრების ან პროექტის ნებისმიერი სხვა აქტივობისას, უნდა დაუყონებლივ ეცნობოს ESMP+G სპეციალისტს. იმ ტერიტორიაზე სამუშაოები უნდა შეწყდეს დაუყონებლივ, მონიშნოს ფართობი და შესაბამისმა სპეციალისტებმა უნდა ჩაატარონ გამოკითხვა, რათა დადგინდეს ამ საიტის მნიშვნელოვნება. უნდა გატარდეს შემდეგი ზომები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ შეწყდეს მუშაობა უშუალოდ ამ ტერიტორიის მიმდებარედ და ეცნობოს ამის შესახებ მიმდებარედ მომუშავე პერსონალს. ➢ ეცნობოს სუპერვაიზერს ➢ ეცნობოს ESMP+G სპეციალისტს, რომელიც შემდეგ შეატყობინებს NFA-ს. ➢ ეცნობოს რწმუნებულს. ➢ ამ ტერიტორიაზე შეიქმნას დროებითი დაცვის ღონისძიებები. ➢ საჭიროა ფოტოს გადაღება და ადგილის GPS კოორდინატების ჩანიშვნა. ➢ სამინისტროსთან დისკუსიის მიხედვით, ჩატარდეს წინასწარი გამოძიება. ➢ შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან და მთავრობასთან კონსულტაციების გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს ამ ტერიტორიის მოვლის/მოპყრობის შესაბამისი სტრატეგიები. 	
დროითი ჩარჩო	ნებისმიერი მშენებლობის წინ და პროექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში
ხარჯთაღრიცხვა	ESMP+G სპეციალისტის ხარჯი
მონიტორინგი და ანგარიშგება	<ul style="list-style-type: none"> - პროგრესის ანგარიში PMU-ს. - პროგრესის ანგარიში მმართველ კომიტეტს - ყოველწლიური გეგმები GCF-ს.
შესრულების მთავარი ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> - აღმოჩენილი ადგილების რაოდენობა - შერბილებების განხორციელებული ტიპი.

5.6 ტყის მდგრადი მართვის გეგმების ჩართულობითი მეთოდით შემუშავება

<p>ტყის მდგრადი მართვის გეგმების ჩართულობითი მეთოდით შემუშავების განვითარება და დანერგვა</p>
<p>მიზნები</p>
<p>ტყის მდგრადი მართვის თანამონაწილეობითი გეგმების დანერგვის მიზანია ტყის მართვასა და ტყის რესურსებით სარგებლობაში ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ინტერესების უკეთ დაცვა და ტყის მმართველების და ადგილობრივი მოსახლეობისთვის ურთიერთსასარგებლო შედეგების პოვნა. სარგებლის განაწილების და აქტიური მონაწილეობის მექანიზმები, როგორც ეს მოცემულია ახალ ტყის კოდექსში, შესაძლოა არ განხორციელდეს სათანადოდ და ადგილობრივმა თემებმა და განსაკუთრებით ტყითმოსარგებლეთა ქვეჯგუფებმა (მაგ. ქალები, სოციალურად დაუცველი ოჯახები) შეიძლება ვერ მიიღონ სარგებელი ადგილობრივი ტყის გამოყენებიდან. აღნიშნული რისკის შესამცირებლად, GCF-ის პროექტი ხელს შეუწყობს ჩართულობითი ტყის მართვის დაგეგმვას და გეგმების განხორციელებას (მოიცავს ადგილობრივ თემებთან ერთად განხორციელების შესაძლებლობებს, როგორც ეს დეტალურადაა აღწერილი ტყის მართვის გეგმებში). გეგმის კომპონენტი 1 მოიცავს ტექნიკურ პროცესებს ტყის მართვის გეგმების შემუშავებისთვის და უზრუნველყოფს ტრენინგს NFA-სა და DES-ისთვის, მონაწილეობითი პროცესების შესახებ ტყის მმართველის პერსპექტივიდან. აღნიშნულ ტრენინგში ასევე ჩაერთვებიან მუნიციპალური ხელისუფლების ორგანოები, მუნიციპალური ტყის მართვის კონტექსტში (აქტივობა 3.1). კომპონენტი 3 მთლიანობაში მხარს უჭერს ადგილობრივ ტყითმოსარგებლებს ჩაერთონ და სარგებელი მიიღონ ჩართულობითი პროცესებიდან, უზრუნველყოფს მათ ინტეგრირებას დაგეგმვის პროცესებში, ასევე მდგრადი აქტივობების განხორციელებაში. რადგან ტყითმოსარგებლობასთან დაკავშირებული კონფლიქტი საქართველოში რისკს წარმოადგენს, აქტივობა 3.2 მიზნად ისახავს კონფლიქტის რისკის თავიდან აცილებას, სანამ ის რეალურად წარმოიქმნება და ზიანის არ მიყენების პრინციპის განხორციელებას. ეს განხორციელდება უკეთესი და უფრო მეტად ინკლუზიური მონაწილეობის მექანიზმებისა და პლატფორმების შემუშავებით, გამოცდით და ხელშეწყობით, რათა თავიდან იქნას აცილებული კონფლიქტები, გაუმჯობესდეს ადგილობრივი მმართველობის პროცესები და გაძლიერდეს სარგებლის განაწილების მექანიზმები. აქტივობა 3.3 განავითარებს ტყესთან, და მასთან დაკავშირებულ ღირებულებით ჯაჭვებთან დაკავშირებულ უნარებსა და შესაძლებლობებს. აქტივობა 4.4 ხელს შეუწყობს ტყესთან დაკავშირებულ ღირებულებითი ჯაჭვების გაძლიერებას, რომელიც მჭიდროდ იქნება დაკავშირებული მონაწილეობით დაგეგმვის პროცესთან. ტყის მდგრადი მართვის გეგმის მონაწილეობითი შემუშავების განხორციელება იქნება მე-3 კომპონენტის ნაწილი.</p>
<p>მოქმედებები:</p>
<p>➤ ტყის მმართველებისა და აღმასრულებელი ორგანოების შესაძლებლობების განვითარება გენდერის, სოციალური ჩართულობის, სოციალური და გარემოსდაცვითი გარანტიების და ტყის მონაწილეობითი დაგეგმვისა და მართვის საუკეთესო პრაქტიკების კუთხით.</p>



- ადგილობრივი თემების, მათ შორის ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის გაძლიერება ტყის მართვის გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში.
- სპეციალისტების მოძებნა, რათა გაძლიერდეს სამინისტროს (DES-ის ჩათვლით), ეროვნული სატყეო სააგენტოსა და მუნიციპალური ორგანოების შესაძლებლობები, და ასევე შესაძლებლობათა გაძლიერება ჩართულობითი კონსულტაციებისთვის. (იხ. ამ ანგარიშის სექცია 4).
- ფასილიტატორის მეშვეობით თემის მოსახლეობის ინფორმირება კომუნიკაციებისა და მოლაპარაკებების შესახებ, SFMP-ის კონსულტაციების პროცესების დაწყებამდე.
- ცნობიერების ამაღლება საზოგადოების მონაწილეობის შესახებ სხვადასხვა დონეზე: შეხვედრების გამართვა თემებთან, ახალგაზრდებთან, ქალებთან და მამაკაცებთან (შეხვედრები გაიმართება უშუალოდ სოფლებში), ცნობიერებისა და შეთანხმების მიღწევა ტყის მდგრად მართვის ამოცანებთან, მონიტორინგთან, მიზნებთან, ძოვების ადგილებთან და მიზნებთან, ტყის არამერქნულ რესურსებთან და მიზნებთან, აკრძალვებსა და ტყის მდგრადი მართვისთვის სხვა რელევანტურ პირობებთან დაკავშირებით (თუ საჭირო იქნება, ცალკეული შეხვედრები მოეწყობა ქალებთან).
- კონსულტაციების პროცესში მოწყვლადი მოსახლეობის, და სადაც შესაძლებელია მომთაბარი მოსახლეობის (მწყემსები) ჩართულობის უზრუნველყოფა (საჭიროების შემთხვევაში მათთან შესაძლოა მოეწყოს ცალკეული შეხვედრები, ან შეხვედრები გაიმართება უშუალოდ მათსავე ოჯახებში).
- თავსებადი, ერთობლივი მართვის აქტივობების განხორციელებისა და სარგებლის განაწილების მექანიზმების ხელიშეწყობა (მაგ, საქონლის ძოვებასთან, რეკრეაციასთან, ტურიზმთან, ტყის არამერქნული პროდუქტების გამოყენებასთან დაკავშირებული უნარების განვითარება, განათლება და ტექნიკური მხარდაჭერა)
- ოთხ სამიზნე მუნიციპალიტეტში უკვე დამტკიცებული ტყის მართვის გეგმის გაანალიზება, რათა მომავალ ტყის მართვის გეგმებში უკეთ იყოს გათვალისწინებული სათემო ტყისსარგებლობის შესახებ დამატებითი მოსაზრებები
- მონაწილეობითი და ინკლუზიური პროცესების მეშვეობით, საუკეთესო პრაქტიკის ინსტრუქციების შემუშავება ტყის მართვის დაგეგმვის პროცესის მხარდასაჭერად, როგორც სამთავრობო ორგანოებისთვის (რეგიონულ, უბნის/მუნიციპალიტეტის დონეზე), ასევე ადგილობრივი ტყითმოსარგებლეებისთვის
- მონაწილეობითი მექანიზმის ჩამოყალიბება, რომელიც სატყეო სექტორში მონაწილეობითი დაგეგმვისა და განხორციელების პროცესების გამასშტაბურებისთვის სამოდერნო ფუნქციას შეასრულებს.
- შეთანხმებული მონაწილეობითი და სარგებლის განაწილების/საგარანტიო მექანიზმების განხორციელების მონიტორინგი
- ინფორმაციის სათანადო გამჟღავნების უზრუნველყოფა პროექტის დონის საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ (და აქტივობა 3.2-ის მიერ მხარდაჭერილი სატყეო სექტორის საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ, მას შემდეგ რაც ხელმისაწვდომი გახდება)
- გაირკვეს არის თუ არა თემების ტყეებში რაიმე კულტურული მემკვიდრეობის ადგილი და დადგინდეს მათი გამოყენების უფლებები.

<p>გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა</p>	<p>ნაწილი 2: ESMP</p>	
--	-----------------------	---

<p>დროითი ჩარჩო</p>	<p>ტყის მდგრადი მართვის დაგეგმვის პროცესის დასაწყისში და მისი მოქმედების განმავლობაში.</p>
<p>ხარჯთაღრიცხვა</p>	<p>ESMP+G სპეციალისტი (პერსონალის ხარჯი). ეროვნული სატყეო სააგენტო (პერსონალის ხარჯი). თემის ფასილიტატორი (პერიოდული მხარდაჭერა 7 წლის განმავლობაში). 42,000 ევრო. სხვა ხარჯები შეტანილია აქტივობის 3.2 ფარგლებში.</p>
<p>მონიტორინგი და ანგარიშგება</p>	<ul style="list-style-type: none"> - პროგრესის წარდგენა პროექტის მართვის ერთეულისთვის - პროგრესი მმართველ კომიტეტთან - ყოველწლიური გეგმები GCF-ში წარსადგენად. - ინკლუზია SFM გეგმებსა და ყოველწლიურ გეგმებში.
<p>შესრულების მთავარი ინდიკატორები</p>	<ul style="list-style-type: none"> - ჩატარებული ჩართულობითი კონსულტაციების რაოდენობა - მონაწილე ქალებისა და მამაკაცების რიცხვი. - შესაძლებლობათა ზრდისთვის ჩატარებული სესიების რაოდენობა. - მომზადებული საკონსულტაციო მასალების რაოდენობა და ტიპი. - SFM გეგმაში ასახული თემის საჭიროებებისა და რეკომენდაციების მტკიცებულებები. - SFM გეგმების რაოდენობა, რომელიც მომზადდა თემებთან კონსულტაციებით. - დავების რაოდენობა, მათი გადაჭრის დრო და კმაყოფილების რეიტინგი. - ახალი კანონიერი თანამშრომლობის [მდგრადობის სტანდარტების შესაბამისად] შემთხვევების რაოდენობა NFA-სა და დატრენინგებულ ტყითმოსარგებლებს შორის (მაგალითად, ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვებასთან, ეკოტურიზმთან, ხე-ტყის პროდუქტებთან დაკავშირებით). - შემუშავებული, ხელშეწყობილი და გამოცდილია ტყის მართვის გეგმების შემუშავებაში ადგილობრივი ტყითმოსარგებლების ეფექტური მონაწილეობის და სარგებლის სამართლიანი განაწილების მექანიზმი. - გაიზარდა მუნიციპალიტეტებში ტყეზე დამოკიდებულ მოქალაქეებს შორის, ტყის მდგრად მართვაზე და მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაზე მათი გავლენის შესახებ საშუალო აღქმა სამიზნე რეგიონებში.

<p>გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა</p>	<p>ნაწილი 2: ESMP</p>	
--	-----------------------	---

5.7 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა და დავების მართვის პროცედურა

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა და დავების მართვის პროცედურა მოცემულია დაფინანსების შეთავაზების მეშვიდე დანართში: დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და საკონსულტაციო გეგმა და დავების მექანიზმი.

6. ბიუჯეტი

ცხრილი 6-1 წარმოადგენს დაახლოებით ბიუჯეტს ESMP-ის განსახორციელებლად. ცხრილი არ მოიცავს მშენებლობის ფასებს, საუკეთესო საერთაშორისო მაგალითების გამოყენებით.

ცხრილი 6-1: ESMP-ის ბიუჯეტი*

აღწერა	ღირებულება (EUR)
აღჭურვილობა ESMP+G სპეციალისტისთვის (GPS, კამერა, კომპიუტერი, ხელმისაწვდომობა მანქანაზე, საცხოვრბლით უზრუნველყოფა ველზე ყოფნისას)	50,000
თემის ფასილიტატორი	42,000
საჯარო საკონსულტაციო ღონისძიებების მოწყობა და	100,000
ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის საჭირო აღჭურვილობა	80,000
შესაძლებლობათა განვითარება	200,000
ESHS-MS კონსულტანტი	20,000
სულ	492,000

*არ შეიცავს სოციალური მხარდაჭერის გეგმის ბიუჯეტს (პროექტის ბიუჯეტში შეტანილია მე-3 კომპონენტის ფარგლებში)

<p>გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა</p>	<p>ნაწილი 2: ESMP</p>	
--	-----------------------	---

7. გამოყენებული ლიტერატურა:

1. Cox, R 2006, გარემოსდაცვითი კომუნიკაცია და საზოგადოებრივი სფერო. სალბი, ათასი მუხა, CA.
2. ENPIEASTFLEG 2014, ტყის მართვა თუშეთის დაცულ ლანდშაფტში.
3. FAO 2007, მთიან რელიეფზე სატყეო გზების ინჟინერიის გზამკვლევი, ჭრები ტყეში და საინჟინრო სამუშაოების დოკუმენტი 2.
4. გერმანიის სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2009, კონსერვაცია და გარემო - ნიადაგის კონსერვაცია და წვდომა ტყეებზე - სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისთვის.
5. ჰაგაუერი, დ. (Hagauer, D) ზაშერი, ი. (Zoscher, J) ჩალათაშვილი, დ, 2014, საუკეთესო პრაქტიკების სახელმძღვანელო - სატყეო გზების დაგეგმვა და მშენებლობა საქართველოსთვის, ადაპტური ტყის მდგრადი მართვა ბორჯომში.
6. IUCN 2015, დაცული ტერიტორიის მმართველობა და მართვა
7. რობერტს, ერილ და გაუტამ, მადან (Roberts, Eryl & Gautam, Madan) 2019, სათემო მეტყევეობის გაკვეთილები ავსტრალიისთვის. საერთაშორისო პრაქტიკების მიმოხილვა.
8. ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი 1998, მიწის მფლობელების სახელმზღვანელო, ტყეში მისასვლელი გზების მშენებლობისთვის. ჩრდილ- აღმოსავლეთ ტერიტორიის სახელმწიფო და კერძო სატყეო მეურნეობები NA- TP-06-98.